4.

# ცისკარი.

ქართული

სიტყვიერებითი

ჟურნალი

1853 წელსა

აპრილი.

ნჲ. 4.

**ПЕЧАТАТ ПОЗВОЛЬЯЕТСЯ,**

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлены были въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ 1 Апрѣля 1853 года.

Исправляющій должность Грузинскаго ценсора Св. Алексѣевъ.

ბიბლიოთეკა

Въ Типографіи К. Г. Эристова.

# ცის კარი.

## ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი.

### ქართული ლექსთ-თხზულებანი.

#### ლოცვა ტრფიალისა.

1.

ღმერთო, გეაჯ ფერნამკრთალი,
გამიქრე სურვილის ალი;
რადგან ამ ცეცხლს ვხედავ წმიდად.
წვად არს ჩემდა ნაპერწკალი.

შენ ლოცჳას არ მისმენ ვგონებ!
რომ ფაცხელს ჯაჭჳვს არ მიფონებ;
სხჳა არ მაქჳს საშუალობა,
მიგეახლო მასვე მონებ.

სახე მისი სასოდ ჩემად,
კრთოლავს, მაგზნობს, მიჩნს ედემად:
როს განვიცდი განმანათლებს,
ძელჳაში გულს ვიგებ გემად.

მან არ იცის, მე თუ მისი,
სახე მივის ვით მაისი;
ვით ბულბული ვარდს დავხარი;
ვით ზამთარი მზრავს მე ისი.

2.

ალერსი.

მზეო მივი, ჰფინე სხივი,
ძილით მილით აღდგომილსა;
აგრეაგრე მომეფრქვივი;
ვიმ მავ ცურფვას შენს დამილსა!

თჳალით-ალით ციალთ ისრად,
ჩუენს მჭჳრეტელთა სავალალოდ.
მისრად მის-სრად ჰსცემს რად, ის რად?
ბულბულთ რაზმთა შესაბრალოდ.

დილის ცრემლი, მონამული,
ვარდსა ნარდსა ჱ იზედ,
დელავს, ელავს, კრთოლვით სრული.
ცისკარი სჩანს მის წიაღზედ!

აჰა, მწჳმლთა მათ ისართა!
გულს დაუდგამ გასაგანად;
ცრემლთა მისთა მოსისხართა,
აღვზნეულს გონს მოსაგონად.

3.

უმანკოება.

ვიხილე ვარდი მწყრალობდა, ცრემლითა გულ მქუ-
ხარობდა,
და თავ დახრილ მკრთალობდა, შროშანი ფერით მქრქა-
ლობდა,

ხოსანი თრთჳლით მზრალობდა, ჱ სარო განიბძაროდა,
უმანკოება მათ-შორის, მოუწყენლად ხარობდა.—

იგი მთჳარობდა, ბადრობდა, კრთოლვიდა, ნათლად და-
რობდა,
ბროლის ველობდა, მზეობდა: მწჳფლობდა, მოელჳა-
რობდა;
ანდამატობდა, მხნეობდა: მიმზიდველობდა, ზნეობდა,
ტალობდა-იადონობდა, ჴმატკბილად მხმობარეობდა.—

ვით მარგალიტი სადაფით, აღმოკრთოლვიდა საგებლით;
ხმირინოზულად ღიმილით, განიშლებოდა დილდილით;
დაცქრიალებდა სიცილით, დაკამკამებდა სირბილით.
გჳაქჳნდეს სიცოცხლე ქადილით, ზეცის არსების ნაწო-
ლით!

ზეცას არს მისი სავანე: მზისა ნათელს დავაგჳანე!
ღჳთისა მადლსა დასდევს თანა, ქჳფუნად კრთოლვით
მონავარე:
მფრენდობს, კრაობს, ანგელოზობს, ვით ურმა ქჳალად
ხააკჳანე:

ღრმა მწუხარი მარადისი, ვერ ჰსცვლის დროცა მამხცო-ვანე.

წრფელსა გულსა ესტუმრების, ეთჳსების მუქი წრფელი-
ვარდ ზამბახით ბროლ-ლალს ფერქჭყულს, მრავლ ფე-რად ჰკრთის ნათელი,
— ავნებენ მას ვერც მაცთურნი, ვერც სოფელი, ვერცა ბნელი;
მსგავს ვარდს უხრწნელს ქრისტიანას, წმიდათ მქცევი, მა-დლად მზმელი.

თა. დავით ბარძამის ძე მაჩაბელი.

## ზარე და ყანიმათ.

### პოემა.

—

ქსანი მკვირცხლებით მომდინარე, განყოფი მთათა,
მჩქეფრად გარდმოქუხს, და კლდენიც, აძლევენ ხმათა,
როს ზვავებითა კავხის მთა, შეეწევის მას,
ხან ჰგლეჯავს ხეთა, და ველებთა, იწყებს მანებას.—

ველისა დაბა, მაღალს ველსა ზედან მდგომარე,
რომელსა აშვენებს გაზაფხულსა წყარო მცინარე;
რა მზე ჯერ დილით, დაცა იწყებს მცირედ ღელვას,
ვნატრობ უჭვრიტოთ ამ არისა გლახ შვენებასა;
და მუნ მცხოვრებნიც რა მზე სრულად გამობრწყინდების,
გამოვლენ ბანთა; და ბერი ვინმე სკამზედ იჯდების,
ზის ჯერ დუმილით და მერმედა ჴელ წვერ დასმითა,
იწყებს ანბავსა უცხოს რასმე ბოხისა ხმითა,
და გარე მისსა ახვევიან ჯერეთ ჭაბუკნი,
ყურსა უპყრობენ და უჭირავთ პირში ჩიბუხნი:

## მოთხრობა მოხუცის ოსისა.

—

მაშინ როს საქართჳელოს ლუარსაბი მეფობდა,
ქსანზედ ელიზბარ ძმისწულითურთ ერისთაობდა;
სპარსეთისა იჯდა მეფე შაჰაბაზ მტერი ქართველთა,
ამან ინება უპირველეს მოსრა კახელთა,
მსწრაფლ გამოგზავნა არტაანის ხან ფეიქარი,
ბახტრიონიდან და ნუხამდე დადგა თათარი;
სრულად აღხოცეს ქრისტიანობა მთელსა კახეთსა,
არდავინ იყო კაცი ერთი; გარდა თუშეთსა,
იყო ბიძინა, ჩოლაყას ძე მთავარი კახთა,
მხნე და მებრძოლი და მტერისა მიმცემი ახთა!
იგი მოვიდა ელიზბარის ერისთჳს წინა,
მან სრულ უამბნა ვით თათართა კახნი ეხდინა,—
„მე მაქჳს იმედი თავის ჩემის ზეცისა მალით,
„თუ შემეწევით მათ განვდევნით ჩჳენისა ხრმალით,
„დაცა არღჳიეს წმიდანი ხატნი მათ უსჯულოთა,
„ეკკლესიანი შეუქნიათ საჯინიბოთა.
„შემეწიენით ერისთავნო თქჳენის ჯარითა,
„ვიცი რომელ ვძლევთ წინამძღომით წმიდის ჯჳარითა.“

მსწრაფლად აღუთქუმს მათ შეწეობა,
იწყეს საომრად მყის კაზმულობა,
ჩუმად წარვლეს მიმართეს თუშთა,
შეჰკრიბეს სრულად მხარე მთიურთა,
ღამესა ერთსა წყვდიადისა ბნელსა,
ეწვივნენ დილით არტაანელსა,
სრულად ასწყვიტეს დედა წულითა,
გაასწრა ხანმა ცხენ სიმალითა,
თორემ არ დარჩა მათგანი ერთი,
ესრეთ ეწიათ ჩუენსა ღმერთი.

—

რა ჰკითხა შაჰაბაზ თვს ჯარის ამოწყუეტანი,
მყის დაიბარა სპარსეთისა სრულიად ხანნი;
მსწრაფლად მომართა, საქართველოს აღსაოხრებლად.
მოვიდა განჯას და იქ დადგა დასასვენებლად.
მუნით მოსწერა ეს გუარ წიგნი ჩუენსა მეფესა,
მიცნობ მეფეო შაჰაბაზსა, მტერთ სისხლ მჩქეფესა,
მიკჳრს მეფეო ესე საქმე ვით მოგხდენიეს,
რომ ჩემი ჯარი ოქჳმით ერისთავთ აუწყუეტიეს,
ძჳალადცა ვკჳრობ ამ საქმესა ვითა ჰბედავდით,

რომ შემდგომისთჳს სრულებითა ვერა ჰხედავდით.
გირჩევ ერთ საქმეს ჰე ლუარსაბ მომიგდე ყურნი,
წარმომიგზავნე ერისთავნი ჴელებ შეკრულნი.

—

რა მოუვიდა წიგნი მეფესა,
სრულად მოუწოდს დარბაზისერსა;
,,ჰე წიგნი სპარსთა შაჰაბაზისა,
,,მაი ჩუენზედ უთქუამს შეყრა ჯარისა,
,,როს დაამარცხეს არტაარელი,
,,ჰო რა ასწყჳტეს თათართა ელი.
,,ვიცოდი რომე არ შეგვრჩენოდა,
,,ყოველი ერი ამას დაგვმობდა,
,,შევპენათ ანუ ვით მოვაკვართ?
,,ჰს ჯობს ერისთავნიც აქ დავიბაროთ.
,,თჳთ ესე საქმე ჰქმნეს რა უჩემოთ,
,,შეცა ვაპიროთ მათ მივაჩემოთ‘‘
ყოველთ უწონეს ესე თათბირი,
ჰო დაამზადეს ამ გვარი ბაზი,
მათ დაიბარეს ელიზბარ შალვა,
მისწერეს ყველა არ ჰქმნეს დამალვა!

მსწრაფლ წამოვიდნენ ერისთავნი მეფისა წინა,
კაცი გაგზავნეს დაიბარეს კახი ბიძინა,
რა ჰსცნო ბიძინა მანცა მყისად მათვე მომართა,
მალ შეეყარა სარწმუნოთა თჳს მეგობართა,
რა იხილა სამნივ ერთად ჩუენმა მეფემან,
ოხვრით მწარედ, და იზრალეს ყოველმან ერმან:
მშვენიერება, ახოვნება და სიმხნეობა,
მერე მათ იწყეს მეფისა წინ ესრეთ უბნობა,
„ნუ ჰსწუხ მეფეო ანუ რა გაქუს ღრმად საფიქრელად,
„ვართ მზა ქართლისთჳს ჩუენ მარადის სისხლ დასა-
დურელად.
მერე წარგვგზავნეთ ვითა უთქუამს ჴელებ შეკრულნი,
მამულისათჳს მოცა ვკუდებით ვართ მოხარულნი!
გაგზავნეს სპარსეთს ერისთავები,
და მათ შეუკრეს მხნეთა მკლავები,
ჰსტიროდენ მათთჳს სრულად ქართველნი,
ასე ეტყოდენ ჭაბუკნი ქუელნი:
„ჰსჯობს მაგ ტირილსა წინათ ხედვიდეთ,
„ამ გუარ საქმეზედ ჩუენ მოგვბაძვიდეთ,
„შესწირეთ თავი მამულსა მსხუერპლად,

„რომე მტრისაგან დაშთენ შვენებლად,
„გიყუარდეთ ძმანო თქუენი მამული,
„მათზედან გაქუნდეს სიმტკიცით გული.“

—

რა მიიყუანეს ერისთავნი შაჰის წინარე,
სახე უჩუენა მრისხანების შესაშინარე,
მარამ იდუმალ ჰკჳრდებოდა მათ მხნეობასა.
რომ ვერ ხედვიდა მათ სახეზედ შეძრწუნებასა,
„თქუენ ხართ იგინი სად სიგიჟით და თავხედობით,
„ჰგონებდით სამნი რომ სპარსეთსა სრულ დაამხობდით,
„ანუ თუ ჰგონეთ რაცა კახეთის იყუნენცა ოდეს,
„მეტიდა ჯარი მრთელსა კახეთს არდარა ჰყუანდეს,
„რომს თქუენი მეფეც ჩუმათ ჰპოვებს მფარველობასა,
„მთხოვს კრძალვითა და მოწიწებით შემწეობასა,
„მაშა თქუენ ვითარ ანუ რაგვარ მასა ჰბედავდით,
„რად არ იცოდით შაჰიაზით ვერ წარხვიდოდით?
„მაშა გაუწირო თავსა თქუენსა თქუენ განუსაჯეთ,
„ამ საქმის მოქმედთ რისაც ღირსხართ ესრეთ ისაჯეთ.“
პასუხად უგეს ესგუარ სიტყუვით მათერისთავთა,
„ნუ ჰგონებ მეფევ შეუშინდეთ შენთა სიტყუათა,

„სიყრმით ჩუჱნითგან სიყუარული გუაქუს მამულისა,
„და გარდავსწყვიტეთ მშობელთათჳს დადუჲრა სისხლისა,
„ვით მოითმენდა გული ჩუჱნი ესგუარ საქმეთა,
„გხედავდით ცოლ-შვილთ საბრალოდა გუყუანდით თქუ-
ჱნ ტყუჱთა,
„გსურდათ აღხოცა თქუჱნ სრულებით ჩუჱნისა ჰსჯულის,
„ივერსა შინა აღარ გეგონათ ძენი მამულის?
„მაშა თუ ვითარ გვაწოდებენ მხნეთა ივერთა,
„თუ ვერ განვდევნით ჩუჱნის სამზღურით, მამულის
მტერთა.

ჰსუროდათ მათთჳს მუსულმანობა,
დაუდგნენ მტკიცედ ჰქმნეს გულოვნობა,
რა ვეღარ მიხუდნენ თჳსსა სურვილსა,
უბრძანეს ჯალათს მზად შეჭურვილსა,
ერისთავთ თავნი დააყრევინეს,
ბიძინას თუალით ეს ამზერინეს!
მგონათ ამით შეშინდებოდა,
და მამათა თჳსთა განშორდებოდა;
რა ვერც ბიძინა მოცა იბირეს,
მაზედ უაღრეს სპარსნი განრისხდეს,

ვით თქჳას ენამა ესრეთ ეწამა,
რა კიცხვა, კდემა, და კიცვზედ შესმა,
როს ამითიცა ვერ მოიზიდეს,
ესდენი რისხჳა ვერდარა ზიდეს,
ჰეჳყს მხნე ბიძინა განშიშვლებული,
ჰქმნეს ნაწილ ნაწილ დაწვლილებული!“

---

### ნაწილი 2...

პაპის ძმას ჩემსა როინს ჰქონდა მოურაობა,
აქჳნდა ბატონთა გულს უზომოდ მას ერდგულობა!
როს ერისთავნი სპარსეთშიგან მეფემ წარგზავნა,
ჩარა-შვილი და პაპაჩემი მათ გაატანა,
ამათვე რა ჰსცნეს ერისთავთა სპარსნი დაჰცდენ,
გზიდან ორნივე იდუმალად უკნვე იქცენ,

ჰკითხა რომინმა: რაუყავით თქჳენნი ბატონნი?
რად აგრე ჩქარა მოცა ბრუნდით ორნი მარტონნი?
,,ვცანთ ერისთავნი წარიყვანეს სპარსთა სასჯელად,
,,რათ წავუჳებოდით თავის ჩჳენის დასახოცველად,
,,ანუ თუ ჩჳენგან მიიღებდენ რა შემწეობას,
შთავცვიდებოდით რაჲსათჳს მათ ტანჯულებას!“ —
,,რა მოისმინეს საბრალოთა ყურთა ვაჲ ჩემთა,
,,ჰსთქჳით მეხანათრო რად განშორდით ბატონთა თქჳ-
ენთა?
,,ნუდარა იყოს მამა რომინ რა ეს ისმინოს,
,,რომ შვილიც იყოს თჳსის კელით არ მოაკჳდინოს,
,,როგორ მოშორდით ნეტა მათთა ცხენისა კჳალთა,
,,არა გრცხვენოდათ ორგულები ეჩჳენეთ ხალხთა!
,,მოჰკჳდით ორგულნო“ რა ჰსთქჳა ესე ხანჯალი გულსა,
დასცა პირველ ძმას და შემდგომად მას ჩარაშვილსა.
აქედან იწყეს ოთარა დიდ გვართა,
ჩჳენ შორის დენა სისხლისა დჳართა,
ჩარაშვილები სრულად შეითქჳნენ,
და დამესა ბნელს ჩჳენ შემოგვიხდნენ,
რომინს მძინარეს დასცეს ხანჯალი,

მაშინ მომიკლეს მამა საწყალი,
მე აკჳნით დედამ ჩამსვა გოდორში,
სოფელი შეკრბა, მოვლენ მდევარში,
შეიქნა ომი ესდენ ფიცხელი,
რომ ორთა მხრიდამ არ დარჩა მრთელი,
მათცადა დარჩათ ჩვილი ყრმა ერთი,
ახლა არს ბერი, და აქჳს მხნე გული,
მას მე არა ქუავს უვის ასული,
ეცადეთ შვილნო იყავით ფრთხილად;
რომ არ მიეცეთ მას ბერს სიკჳდილად!
ესე ანბავი გულს დაინერგე,
შვილებსა შენსა გადაუნერგე.—

—

რა დაასრულა ესე ანბავი ბერმა ხიმიმან,
იწყო ბორგება ყანიმათის ძლიერმა სულმან,
ამაყად დგების და მიისწრაფვს თჳსსა საწოლში,
დაჰსჯდა დუმილით და შევიდა ფრიად ღრმა ფიქრში.
ვინ ვერა მიხჳდეს მიზეზებს მის დუმილისას,
იგ აპირებდა შედგომასა მებნად სისხლისას,
აჰა რას უბნობს და ხმა მაღლით ესრეთ იფიცა,

„ანუ მოცა ვკლავ ან ითხიოს ჩემი სისხლიცა,
„ნუ უკჳჱ არ მაქჳს წინაპართა მათ ჩემთა გული?
„და არა ვიყო როინისგან შთამოსირული?
„ყოველთა უტევ და ვიძიო სისხლი როინის!
„ჰსთქჳჱნ ყანიმათი არს ნამღვილი მე ალღუზონის. *
„ანუ თუ მოვკჳდე და ვიხილო იგ წინაპარი,
„ღიმილით მჴჳრეტდეს და განმიღოს სამოთხის კარი,
„ვსხდეთ მეუღროებით და შჳჱბითა სრულად ვსტკბებე-
ოდეთ,
„ვინც მშობელთათჳს მომკჳდარ იყოს მათ მოუწოდდეთ,

—

ყანიმათის დილით განუფრთხეს ძილი,
იქმნა სასწრაფოთ იგ შეჴჳრვილი,
მიმართა ერთსა მცირე სოფელსა,
უთხრეს იქ ჰპოვეს მას შენსა მტერსა,
მიხჳდა ტყეს მცირეს თუმცა მაღალსა,

---

(*) ესენი რაცხვენ თავიანთ ჩამომავლობას სამთ მეფეთა-გან. სადამონ, რომელიც იყო მჳრადი, ყურაგონ მდი-დარი, და ალღუზონ ვაჟკაცი.

ოამა ჩუენის მგზავრად მავალსა!
მას დღესა იყო კეთილი დარი,
ჰბერვიდა წყნარად ზეფირად ქარი,
ტყენიც ნელიად შეირყეოდენ,
თითქოს ყანიმათს ეჩუნებოდენ:
ნუ იქ ყანიმათ მავა საქმესა,
ნუ მოაკლდები კეთილსა დღესა,
განაგდე მგე სისხლისა ღუარანი,
შემოქმედისა გამარისხარნი,
ესრეთ მდელონიც უპასუხებდენ.
ყოველ ბიჯზედან ვაჲს უთხრობდენ!
მაგრამ მხნის გული ვერ შეარყევეს,
და ღრმა ფიქრისგან ვერ განაბნიეს.

—

შემდგომად მიხუდა ველსა ტურფასა მწუანით მოსილსა,
სადა მოუნდა განსუენება ფრიად ლტოლვილსა,
ძლივ დაწვა მდელოს, მსწრაფლ წამოჯდა ყურსა უგდებდა,
ვიდაც მოსთქუამდა ნაზის ხმითა გულით ჰკოდებდა,

ადგა ნელიად და შეუდგა იმ ხმისა კუალსა,
იქით და აქეთ სიმკუირცხლითა ავლებდა თუალსა,
იხილა მან ხე მშვენიერი მრავალ შტოვანი,
წყარო მჩქეფარებით მომდინარე, ტურფად ხმოვანი,
წყაროსა პირსა ჰსჯდა ქიზგაჲ ცრემლთა მფრქუეველი,
თეთრსა მკერდზედან თმათა შავთა ქარი ჰბერველი,
გარე ახუფვდა და აჩენდა მშვენსა სახესა.—
ცრემლნი მდუღარნი აშვენებდენ მისა ბაგესა,
ეგრეთვე ჰსწორეთ გაზაფხულსა ციურნი ნამნი,
მდელოთა ზედან გამოჰკრთიან ტურფად მბზინავნი.
    ტირილსა მისსა ფრიად ჰკვირდების,
ნელის ბიჯითა მიახლოვდების,
ყანიმათს ვგონებ გულით ჰსურდა,
ტურფა ქიზგაჲ თუ რას ტიროდა,
,,ნამდვილ ვისმე არისცა მტრფობი,
აქუს სიყუარული გულს დანასობი,
რა ყანიმათი ქიზგამ იხილა,
მაღალის ხმითა მან დაიყივლა,
შენ ხარ ყანიმათ, ვაჲ მე ჩემდა.
ან დღენი ჩემნი სრულად დაჰბნელდა,

საბრალო ზარე ახლა დაობლდა,
ქვრივთ მოსთქმიდა ცრემლთა ალტობდა!

უ ა ნ ი მ ა თ.

,,დაჩუმდი ტურფავ რა გაქვს სატირელი?
უანიმათ შენთჳს რათ არს საშინელ,
ანუ რით იცი რომ იგი მე ვარ?
მე საშინელსა არასა ვგევარ?
მე ვარ უანიმათ- მარქუი ოდენ, გეშინის რათა,
არ ვარ მავნებელ, გრწმენეს ჩემი შენებრივი ქალთა,

ზ ა რ ე.

,,მე შენ გარწმუნებ უანიმათო, რომ ხარ კეთილი?
მაშ შეიბრალე ცრემლი ჩემი ესე ლტობილი,
მარამ მეშინის ნუ თუ გული ამაყი შენი,
წინა აღუდგეს ჲ დაუგო თავსა მახენი?

უ ა ნ ი მ ა თ.

ნუღარა მტანჯავ მარქუი რა გსურს ან რა გწადიეს,
შეწევნა გსურის? შენ გულითა ვინმე გტრფობიეს,
არ ნებას გცემენ დედენი შენნი იყვნენ ბედნიერ?
სხუას ვისმე ჰსურხარ, მითხარ ვინ არს იგი კადნიერ,
ჯორსა შიგანცა თოფმა ჩემმა მაშ მოშიცდინოს,

მტრისა ტყვივითა თავი ჩემი სრულ განიტვინოს,
თუ რაცა მარქჳა და ძალ ვიდე არ აღგისრულო,
ანუ სიცოცხლე შენ სურვილზედ არ დავასრულო!

ზ ა რ ე.

მე ვარ ასული ჩარა ბერისა,
შენის ცვარისა ფრიად მტერისა.
მას დიდ გვარშიგან დავრჩიდა ერთი,
თქჳჱნთა და ჩჳჱნთა ვით ერთმანეთი,
რაგვარ გაჳსწყვიტეს შევიტყე წვლილად,
ვცან ყანიმათი არსო აღზდილად,
შენზედ ეჭირა მამაჩემს თვალნი.
ქებასა შენსა მეტყოდენ ქალნი,
თუმცა შენ იყავ მე ჩემის მტრისა,
მაგრამ ტრფობაჲ მაქჳნდა მოყჳრისა,
რამდენჯერ ჭჳურდა მამასა ჩემსა,
სიკჳდილი შენი, გიკრავდა გზებსა,
მაგრამ მუხლ დრეკით ვევედრებოდა,
სახლსა თჳსსა მოვაბრუნებდა.—
შემდგომად მითხრეს შენი წამოსვლა,
ვიცი რომ გსურის მამის მოკჳლა,

მსწრაფლად წამოველ ამა წყაროზედ,
ვიცოდი მოხვალ შენ ამა გზაზედ,
რაჲსწამს გიხილე გიცან ნამდვილად,
მოხვალ მამისა ჩემის სიკჳდილად.
მე დავასრულე რაცადა ვიცი,
შენ მხნეობრივი მომეცი ფიცი,
მაშა იბრალე ყანიმათ, ზარე?
მამასა ჩემსა ჯერ ნუ გამყარე!
შენც რომ არ მოკლა, ის არს მოხუცი,
არ შეუძლიან თჳთ შენცა იცი,
შენი სიკჳდილი, მაშა რადა გსურის,
ანუ სხუა რამე გულით რადა გწყურის,
გჳედრებ განაგდე მგ ფიქრი გულთა,
მიჯვრიტე შენ წინ მოვიდრეკ მუხლთა:

—

მდგომარეობა ყანიმათის ძნელად ასაწერ,
რომ ფერ მიხდილად მდგომარესა ამ მხნესა, უმზერ,
ქჳალად დგას უძრველ, არცა მთქმელი ერთის სიტყუვისა,
ჯერ გამოეღდველი გარდაწყვეტად თჳსის ხვედრისა,

ხან ოხრავს, ხან მრწის, ხან დახედავს თჳსსა ხანჯალსა,
ხან ზარესაკენ დაურდნობილად აქცევდა თვალსა,
შემდგომ სურვილმა ყოველთ ჰსძლივა მრისხანებასა,
ვინ არ ემონვის მითხარით მე ქალთ შვენებასა?
მაშა ნუ ჰკიცხავთ ყანიმათის ლმობიერებას,
რომ დასთმო ჰსჯული და შეუდგა იგ ტრფიალებას,

ყ ა ნ ი მ ა თ.

„აღექი ზარე, აქა დავსხდეთ მწვანესა ველსა!
შენ მთხოვ უტეო სისხლი ჩემი მას ჩუენსა მკჳლელსა?
გახსოვდეს ზარე რომ შენვე მთხოვ ესრეთ საქმესა,
მე თანამდებ ვარ მოვშორდეცა ჰსჯულსა და წესსა,
რა ჰსთქჳას სოფელმა, ამა ჩემსა ესრეთ საქმეზედ,
ვითღა მალვიდვა გამოვიდე მე ქუეყანაზედ.
იფიქრე ზარე რომ ვშორდები, ჩემთა მშობელთა,
და ვაცაკლდები სამოთხის დასთ მარად მჯდომელთა,
ვითღა ვეჩუენო მხნესა რაინს გარდახდომილი,
სისხლი ძვირფასი ქალსა დავსთმე ვიქმენ ლმობილი,
ჯილდოთ ამისა რას მივიღებ, მითხარი ზარე,
რომ მაგ ქცევითა და ცრემლითა მშობელს გამყარე,
მე არა მსურს რა გარდა ამის დიდს ვიქმნებოდე.

რომ მაგ ციურთა ნამთა გამო-ვიწყურებოდე!
აჰა ერთმანერთს — მოეხვევიან,
და უბნობისგან დადუმდებიან,
ზარეს ნელიად ცრემლი ჰსდიოდა,
და ყანიმათი ბაგით უშრობდა.—
მდელოსა მწვანით დამშვენებულსა,
მზე თჳსის სხივით ჰყოფს განბნეულსა;
შემდგომად ფიცით შეიკჳრებიან,
რომე ოდესმე შეუღლდებიან,
დასდეს პირობა ყოველსა დღესა,
ეჩუენებოდენ აქ ურთიერთსა.—

---

ჰე სიჭაბუკევ! სიჭაბუკევ, ვითარ ხარ ტკბილი?
თუ შავბედისა ცეცხლსა შიგან არხარ წრთობილი!
ნეტარ მას ვინცა სიყრმის ჟამსა ცხოვრებით ჰსტკბება,
ვინც ამა სოფელს ჰპოვებს სახელს და განდიდდება,

მაგრამ უმეტეს არის იგი სოფელს ნეტარი,
თუ რომ ჭაბუკმან დენის ხელით შესვა ნეკტარი,
რათ მინდა სოფელს მარქუით დიდება?
ოდეს მამიცვას მე მცხოვანება?
ანუ სახელი და ანუ ტრფობა,
რომელს მაქუს ცივი გული და გრძნობა,
აჰ მსურს დავთქუალო ჩემი ცხოვრება,
დღითა ჴსიგრძითა და წელთა დენით,
მსურს ვაგრძნო ყრმობის ბედნიერება,
ყვავილოვანის სულისა ლხენით,
მსურს ვაგრძნო სიტკბო მე სიხარულის,
მინემ მაუქუავის სულის ოცნება,
მსურს გახარება ახალის გულის,
წელთა ზამთარით ვინამ დაჭკნება.

—

ესრეთ ჭაბუკი უანიმათი ჴტკიებოდა ტრფობით,
თითქმის ყოველ დღე ატარიან ერთადრე სხდომით,
ბედნიერების მორევშიგან ორნივ დაფლულნი,
გარდა ტრფობისა სხუა გრძნობანი აქუნდათ დასმულნი,
თითქო სოფელი, მათ შეექმნათ უახლო ზმანება,

და არუნდოდათ ოცნებისგან მათ განღვიძება,
ხშირად მუხას ქვეშ ბუნებისგან განკვირვებულსა,
დავიწყებული ყურს უგდებდენ ჰსტვენსა ბულბულსა,
მაშინ ყარიბათ ჩანგისა ზედან ნელიად მღეროდა,
და ზარე ტკბილის ზარიანის, ხმითა დამღეროდა,
მუნ წყარო წმინდა მღამარეებით მოსდინარებდა,
თითქო სატრფოთა ყურებითა განახარებდა.—
იყო საღამო მშვენიერი უცხო, თბილი, გრილი,
ჩვენი მიჯნურნი ვნახე ერთად კრძალად სხდომილნი.—
ყარიბათ ადგა ქალმშვენა ტრფობით დამტკბარი,
მღივს ასწრო კოცნა, გულს ხვდა ტუჩა დაქეცა მკვდარი,

—

არის ღამე ბნელი, ხანდისხან მთვარე
დახედავს ღრუბლით, ველისას გარე,
განსწყდა ხმა ცხოველთ, არის დუმილი,
თითქო ბუნებას მოსვლია ძილი!
მაშ ეს ვინ არის თმა გარდაშლილი?
საბრალო ზარე არის შეშლილი?
დაუძლილის ხმითა ნეტა რას ჰყვირის?

ყური დაუგდეთ ყანიმათს ჭჳსტარის?
„ყანიმათ მოდი აი აქ გული,
„რათ დამივიწყე მე საყუარელი,
„ვინ მომაშორა შენ ლამაზ თავსა,
„ველარ მოვისმენ მე ტკბილსა ხმასა,
„მარტოკა წახველ იმ გრძელსა გზასა?
„მალე ვიპოვნი მე შენსა კუალსა.
„აწ გიამება რომ ნახამ ზარეს,
„გახსოვს მიძახდი მე შენსა მთვარეს.
დილაზედ კაცნი, საბრალო ზარეს,
უთხრიდენ ჯმუნვით ნიჩბით სამარეს:

---

დასასრული.

## მოთხრობა.

### მღვიმე სასაფლაოს იქით.

—

დერბენდი არს ფრიად კარგი ქალაქი დაღისტანში. ქალნი იქ არიან მშვენიერნი და თავის უფალნი; კაცნი იქ-ერიან უშიშრობით.

ხუთს ვერსზედ ქალაქიდგან, კლდეში, პირ მიქცეულის ჩრდილოეთისაკენ და ნახევრად დანგრეულის მეხის დაცემითა, არს ფართო და შეუმეცნებელი სიძველითა მღვიმე. კლდესა ზედან ჰსცურვენ ხვლიკნი და გველნი; გარემო კლდისა მიწა, მოკლებული აღმომცენარეთა ძალითა, ქვიშიანი და ურაყოფო იქ, სადაცა დასრულდება ესე უცხოვარი ნაწილი, იწყება თათრების სასაფლაო, მოკირწყლული მაღლის ფიქალის ქუჩითა,- მეგლებითა მიცვალებულთა. მღვიმე საზარელ არს მოთხრობითა: ამბობენ ვითომც არაოდეს დაღესტნელის ვაჟკაცის ფეხი არ შედგმულა იმ მღვიმეში.

მაჰმედ-ჰუსეინ-ხანმან, მდიდარმან მებატონემან და-

რბენდისამან, დაუტევა შემდეგ სიკუდილისა თჳსისა მრა-ვალნი სოფელნი და ზვარნი სამკჳდრებოთ ორთა მცირე წლოვანთა შვილთა თჳსთა: — ძესა ალი მახმედ-მირზასა და ასულსა სალგუნახსისა.

იგინი იყუნენ ობოლნი, და აღიზარდნენ ერთად ზე-დამხედველობასა ქუეშე ხანის ერთგულთა მოსამსახუ-რთა. ოდეს ალი-მახმედ-მირზამან მიაღწია თვრამეტ წე-ლში, დერბენდში არ იმყოფებოდა ჭაბუკი, რომელსაც შესძლებოდა მასთან ბაასობა ვაჟკაცობაში, მხედრობაში და ძალში. როდესაც შეუსრულდა თექვსმეტი წელი სალ-გუნახსსა, იგი მიიჩნეოდა მშვენიერად, რომლისა მგზა-ვსი ჯერეთ არა ყოფილა დაღისტანში.

ყოველთჳს, ოდეს ალია აჰხედრდებოდა გამოსაჩენ-ად თჳსისა კელოვნებისა იარაღის მოხმარებაში, აჭენე-ბულ ცხენზედ, ყოველნი მით სტკბებოდნენ და უნებლი-ად იტყოდნენ: ყოჩაღ! ვაჟკაცია გაიგონებდა რა ქებასა, ამ-პარტავნულად გაისწორებდა თჳსსა ყიზილბაშურსა ქუ-დსა, რომლისა ქუეშე იხვეოდნენ, როგორათაც ნავთი, შავნი კავნი.

ყოველთჳს, როდესაც სალგუნახსსა ითამაშებდა ხაშ-

ფალ თვისთა ტოლთა ქალთა დაირის ხმაზედ, გამხიარუ-ლებული საზოგადოება წაიხნევდა მას თვისა მეფად, ყო-შვენიერებისა ქალნი ჰკიჯინებდენ მას არა უშურველად, მხოლოდ ახალგაზრდა ბეგნი ჰქელუყოინდნენ მის დასანახ-ველად.

სულო ჩემო! თქვა ალიამ, შევიდა რა სალდვენახსას დარბაზში: დღეს ჩვენ ორნივე ვიქმნენით დღეობაში; მე მოვიწვიე ჩემთან რამოდენიმე კეთილნი მეგობარნი, რომ-მელთანაც დიდიხანია მსურდა ლხინი, როგორიც მე-ფერება, და შენ, ვგონებ, ეზადებოდი წასასვლელად ტ. სადაც იქნება მხიარულობა.

ალი არ ვიცი! მე როგორღაც არ მინდა შინიდგან გა-სვლა. ავათ კი არა ვარ, მაგრამ როგორღაც მოწყენით ვარ.

სალდვენასსა, რას ამბობ! შენ მოწყენილი ხარ? პირ-ველად მესმის შენგან ეგ სიტყვა. დამშვიდდი-სულო ჩემო; წადი დღეობაში. შეხე როგორ მოწმენდილი ცაა! საღამო მშვენიერი, არა ცხელა; იქ შენ გამხიარულდები. შენ წავალ.

აი კიდევ მიზეზი წაუსვლელობისა: ნუქარნი ჩვენი

ეხლა გართულნი არიან შენის სტუმრობის სამზადისში; ისინი აქ საჭირონი იქმნებიან, და მე არ მინდა დაგაბრკოლო შენ მოსამსახურეების მოშორებით.

მაგისიც შველა ადვილია! უბრძანე ზამანს გაგიძღუჳეს ცხენ წინ, ეგ გეყოფა შენ ოც კაც მცველად. მე უმაგისოთაც იოლათ წავალ: ამასთანვე მაგან იცის სოფელი ტ შმ. და ან შორს არის ის! ძლივს ნახევარ აღაჯი იქმნება. წადი დაო!

თქჳენი ნებაა, მე წავალ მალათ შესაქცევრად! და მანვე შეხედა ძმასა ღიმილითა, რომელსაცა მანა შეინიშნოდა კეთილ-სულიერი დამშჳდება. უბრძანე შეკაზმონ ცხენი.—

ეგ ჭკვიანურია, საყჳარელო ჩემო! შესძახა ალიამ. გამოვიდა ვრცელ ეზოში, და მაღლად დაუძახა ზამანასა. მასვე წამს დაეპასუხა - ბალი-ხან! და წარსდგა მხარბეჭიანი, შავგჳრემანი თათარი, ერთგულესი ალიას ნუქერთაგანი.

შეკმაზე ახალი ბაჩა! ზამან. შენი ქალბატონი მიბძანდება ტ. . . დღეობას. შენ გაუძღჳება ჯილავში.

მე! . . . მარტო?

მარტო. ჩემთჳს საჭირო არიან მოსამსახურენი. . .

ბაშუსტა! წაიბუტბუტბუტა ზამანამ და დაიხრა თავი მარჯუენა ხელის შუბლზედ დადებით.

რამდვენსამე მინუტს შემდეგ მოიყვანეს სახლის შესავალთან ბაჩა, შეკმაზული რახტითა, ჭრელათ აბრეშუმის მავთით შეკერილის უაჯრით. სალჯენასსა გამოვიდა სადღესასწაულო მორთულობით, გარე შემოვლებულის ოქრომკედის ზუზმერტით; მის წელსარტყამზედ მშვენიერდებოდა შეჭედილი ალმასებითა ხანჯალი. ქალი შეჯდა ცხენზედ. ალი იმ დროს მაღლა ეწეოდა თჳსის ოთახის ფანჯარას, რომელსაცა უსხდა სხუა და სხუა ფეროვანნი მინანი.

ნახვამდინ, საყუარელო დაო!

მშვიდობით, ძმაო! მშვიდობით ალი!

ზამანა დუმილით გაუძღუა ბაჩას ადვირში, და მალე გავიდნენ იგინი დერბენდიდგან ქალაქის ბადების გვერდზედ და შეუდგნენ ტ. . . გზასა.

საღამოს ჟამს ჭაბუკს ალისთან შეიკრიბნენ ხანნი, ბეგნი და თავადნი დაღისტნისანი.

იატაკი ვრცელის ოთახისა იყო დაფენილი ყიზილბა-

შურის ხალიჩებით, მოწყობილი გარემოში ხავერდის მუთაქებით; შუაზე ემალა სუფრა, რომელზედაც დააწყეს მრავალნი ვერცხლის სინები ხილითა, მაღალ ყელებიანი სურები სავსე თეთრის და წითლის ღვინითა, თასები შარბათითა. სტუმარნი მუხლით მოკეცით დასხდებოდნენ და განისვენებდნენ ირგვლივ. მდგომარებმან კედელთან ნახევარ ადლ წვერიანმა თათარმან, ალიას ნიშნის ჩვენებით, მოართვა ქეჟის სამაანი ყოვეჟა, და მიეზიდა სამდურის სათქმელად. ნუქრითა, ზედიზედ, მოჰქონდათ საჭმელები. დასასრულ მათ გაავსეს საჭურჭლებითა მრთელი სუფრა, და წვერიანმა სახანდარმა შეუძახა მაღალ ხმაზე. * აზარფეშამ დაიწყო გადასვლა ერთის ხელიდგან მეორე ხელში. საამოვნებამან განაღვიძა მოლხინენი. საზოგადო ჟღივილში ხმა მომღერლისა აღარ ისმოდა, ძალიან მხდალად და უჯანასყნულ დაიკარგა სტუმართ სიცილ ყვირილში, რომელნიცა გამოითხოვდნენ ერთმანერთისა დასაცლელად მხიარულისა ფიალისა, განუწყვეტლად შესმა-

---

(*) უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ნადიმი თათრული ჩვეულებისა არის, ავკალის შეყრობამა.— გ. ე.

ხებდნენრა: ალლახ ვერდი! და მიიღებდნენ პასუხად: იახ-შიოლ.

ერთმა ახალგაზდა ბეგმა უბრძანა თქმა სასიამოვნო სიმღერისა მოგონებად დაღესტნელთა სახელოვანთა ბრძოლაზედა და ყოველთა მოლხენთა, და თჳთონ დაიწყო სიმღერა მიმახილითა— მასვე წამს ყველამ ერთად დას-ძახეს ბანი, და ერთბაშათ გაჩუმდნენ. აქიმან ... ჩქარი, მოკლე ხანა, და ახალად გახდა, ტაშის კვრ-ით, განმეორება სიმღერისა! ესე სიმღერა დაუსრ-ულებელთა: მას იტყვის მომღერალი და იგონებს ყვე-ლას, რაჲცა ფიქრად მოუვა და ან რაც იამებათ სტუმა-რთა.

დღეობა განგრძელდებოდა, სიმღერა დადგა, და იწ-ყო ლაპარაკი, თითქმის იმისთანავე ხმიანი, როგორათაცა თჳთონ სიმღერა. ალია ამხიარულებდა სტუმართა.

სამნი თუ ოთხნი, მსხდომარენი ერთ პირად, ლაპა-რაკობდნენ ერთმანერთში დიახ ხანგძლივ. იგინი ყვარო-დნენ, ამტკიცებდნენ, არ ეთანახმებოდნენ; მაგრამ მათ ყურს არვინ ათხოვებდა. ბაასი მათი შემდეგ შეიქნა შე-ნიშნულ, რომლისაც მათ ბაასობაში სხჳა სტუმართაცა

მონაწილეობა მიიღეს, და უეცრად ერთმა მათგანმა მაღა-ლად და მტკიცეთ შესძახა: არა მეგობარნო! არავის გარ-ჩევთ ამ შემთხვევაში ვაჟკაცობის გამოჩენას. კისრათ ვი-დებ რომ თჳთონ ალიაც არ გაბედავს ამ გვარს გამო-ცდილებას.

რას არ გავბედავ მე? ჰკითხა ალიამ, გაიგონარა უკ-ანასკნელი სიტყვანი მთქმელისა.

მე ვამბობ იწყო ბეგმა, რომ თჳთონ შენ არ გაბე-დამ ღამით წასვლას გამოქვაბულ კლდეში, რომელიცა არის სასაფლაოს იქით.

ყაყანი საჩენად დაწყნარდა ამ გვარ გამოთხოვაზედ. ერთთა შეხედეს ჯაბუკს ალიას გამოსაცდელად; მეორე-თა არ მოეწონათ საგანი ლაპარაკისა, და რაოდენთა მო-ლხინეთა, დიად აღგზნებულთა ღვინის ოშხივარითა, დაი-ყვირეს: აი ლაყიობა! ალია არ წავა! ალია წავა ყოველ დროს. იმაზედ შეიძლება თავდებად დადგომა.

დიად! ჰსთქჳა ალიამ მტკიცეს ხმით, შეგულიანებუ-ლი ესოდენ საამო ჰაზრითა თჳს ვაჟკაცობაზედ. წავა-ალ! . . . თუნდ ამ საათს!

დადექ, საყჳარელო, უპასუხა ბეგმა, უზომო ტრაბა-

ხისაგან თჳს უშიშრობაზედ! შენ წახვალ, ვერ მიხვალ, დაბრუნდები და იტყვი, რომ ვიყავ მღვიმეში. გვინახვანან შენზე უფრო ვაჟკაცნი, და ისინიცკი დაჩუმებულან ამ გვა-არ შემთხვევაში. შენ ძმაო ჯერ უმაწვილი ხარ.

ალია შეთრთოლდა მრისხანებისაგან. იგი უჭირენდა ტარსა ხანჯლისასა, და მზათ იყო ასჯერ განეგმირა მით წინდაუხედავი მოლაპარაკე ბეგი.

სტუმარნი წამოხტნენ საფენიდგან, და იწყეს ზოგთა დამშვიდება დადესტნელის სიფიცხისა, ერიდებოდნენ რა ბეგის შეურაცხად გახდომასა, რომელიც ძლივსღა დგე-ებოდა ფეხზე დაცლისაგან საღვინეთა; ზოგთა ნუგეშისცემა, ეტყოდნენ რა, რომ იგინი დარწმუნებული არიან მის ვაჟკაცობაზედ.

დიაღ! დაიძახა ალიამ, რომლისაცა თავის მოყვარება აღელვებულიყო, და მე წავალ ეხლავე! ხედავთ? აი ჩემი ხანჯალი. მე დავაგდებ ამას მღვიმეში. ხვალ წადით ყველანი: ამ ხანჯალს იპოვნით იქ. მშვიდობით!

შენ ჰსწორეთ გაბედე? ჰკითხეს მრავალთა.

სადაური კითხვაა! მე აქ დამიცადეთ: მალე დავბრუნდები.

იქამდის ხუთი ვერსია და შენ ქვევითი დიდხანს მოუ-
ნდება უთხრა ერთმა თავადთაგანმა: წაიყვანე ჩემი ცხე-
ნი, მიდი სასაფლაომდინ.

კარგი! მიუგო ალიამ, და ჩამოვიდა კიბიდგან.

იგი შესჯდა ცხენზედ, და სრულის ჩორთით გავიდა ქა-
ლაქით. ცა იყო დაბურვილი, შუაღამე მოახლოვებდა.
ყურ მახვილი, დარჩეული ცხენი, აიცქვეტდა რა ყურებს,
მაგრათ დგებოდა მიწაზედ. დააკვირებდა რა თვალთა,
იგი თითქო ეძებდა გზასა საშუალ წყვდიად ღამისასა,
და ფიცხელად მიჰქონდა თჳსსა ზედა — ახალ-გაზდა ცხე-
ნოსანი.

ალია გავიდა მინდორში, დაიდო თავი თითქმის მი-
წამდის, რათა გაშინჯოს ბილიკი, მიმავალი სასაფლაო-
ზედ. გარეშემოს მოიცვევდა დუმილი; შორით ისმოდა
ყმუილი, მშიერთა ტურათა, მოწაწალეთა ღამით დაგლა-
ზედ.

ალიამ დასძრა ალვირი, და გასწივა. მყის შეშინებუ-
ლი ცხენი გახტა გვერდზედ, დაიხრუტუნა და დადგა, და
მორჩილებული მხედრის მკლავის ძლიერებითა. ალია უმ-
ზერდა მარცხნივ; სადაცა შენიშნა ქვა და თქვა მე სასა-

ფლაოზედა ვარ!

იგი ჩამოხდა ცხენიდგან, და მიმართა აღმოშვერილსა მიწიდგან ძეგლსა. დამფთხარი ცხენი ძნელად მიზდევს სადავეში, ხრუტუნებს, კუდისა და ფაფარის გაშლით უყურებს ქჳასა, რომელმანცა შეაშინა. ალია მას ჴელს უსვამს, აძლევს დროს გაშინჯოს საგანი, და შემდეგ მიაბამს დამშვიდებულსა პირუტყჳსა.

საიდგან წარმომდინარეობს შეუმეცნებელი გრძნობა შიშისა, რომელითა უნებლიედ შევიცვებით ჩჳენ სასაფლაოზედ ღამით? განა კაცის გონებას არა ძალუძს როდისმე — იქონიოს სიმტკიცე, რათა დათრგუნოს ცრუვი, ამაო ჰაზრი სიცოცხლისა კუბოსა თანა მახლობლობისა? ჩჳენ არა გვჯერა, რომ საფლავს შეეძლოს გაღება იმისთჳს, რომელსაცა ერთხელ გაუვლია კარი მისი, — და ყოველთა მათ შემდეგ გვეშინიან ჩჳენ? მგზავსისა თჳსისა არს, სრულიად მოკლებულისა მოძრაობისა და ჰაზრისა?

მე არ ვიცი, რასა შეიმეცნებდა გულში ალია, წვალებით გამვრებოდა რა შუა საფლავებისა ქჳებთა; გარნა მან მშვიდობით იპოვნა დასასრული სასაფლაოსი, რომელი მიეკჳრების კლდესა, და რომელსაცა შინა, არა

ჰსჩანს რომელ საუკუნეში, მითომც თუ ღამით ერთმანეთის ნახვისათჳს მკუდართა, გამოქვაბულ არს ესე ღრმა მღვიმე.

იცოდა რა, რომ არდა დიდი სივრცე განუყოფდა მას საზარელ მღვიმიდგან, იგი დადგა, არა შიშისა გამო, არამედ რათა გეეშანჯა მისი შესავალი. მას უკანვე მოისმა ფარჩაფუჩი. მან უნებურად მიიხედა და იფიქრა ეს არს ხმა ხვლიკისა — გამხმარ ფოთლებზე მძრომისა! სიახლოეს რადაცამ გაანწკატუნა და შემდეგ ისმოდა განშორებით შრიალი ბალახში. უთუოთ კურდღელმა შეშინებულმა კაცის მიახლოვებითა გადაირბინა ფიჩხები! ანაზდათ დაინახა, რომ ვიდაცა ხშირის ნაბიჯით მოდის ჰსწორეთ მასთან. ალია შეკრთა, მიბრუნდა იმ მხარეს, საიდანაც გამოვიდნენ ხმანი ნაბიჯისა, და მაგრად დაჰკრა რა ხელი ხმალზედ, მზათ იყო ამოედო იგი — წინად უცნობისა მომავალისა და ამ დროს მოჩუჩურება ხმაურობით გახტა უკუ და გაახმაურა დუმილება საფლავთა საზარელის დუმილით. წყეულო ტურავ! ჰსთქუა ალიამ: კინაღამ არ შემაშინე მე. დროა წასვლისა. მე, მგონია მღვიმის შესავალთანა ვარ.

მტკიცეს ნაბიჯით მიახლოვდა ვაჟკაცი ჯაბუკი ბედის წერიანსა გამოქვაბულსა, რომელიცა კიდეც ჰსჩანდა უბ-ნელეს თჳთ ღამისა.

ის კიდეც ემზადებოდა ამოეღო ხანჯალი, დასატო-ვებლად მღვიმესა შინა ნიშნად თჳსის უშიშრობისა; მა-გრამ მსწრაფლად გამოხდა ხმა მღვიმიდგან რაოდენთამე დაკჳრათა. იგი შედგა. ყურს უგდებს: სულ ჩუმობაა! .. თვალ დაკვირვებით უმზერს შესავალს: სრულიადი სიბნე-ლეა! . . .

მე ან მომეჩვენა ანუ, შესაძლოა, მჳწლნი თაღნი მღვიმისა იქცევიან? და უთუოდ მათგან ჰსცვივიან ქჳწ-ბი.

კიდევ გადადგა ბიჯი,- მაგრამ მასვე წამს რადაცა ღონივრად გამომტყორცნილი მღვიმიდგან ხვდება მას გულში. ალია დაიხრება, ეძებს იპოვნოს მიმთხრობი მკ-ჳდართა მღვიმისა, და მოულოდნელად იღებს ჯერეთ გა-უცივებელს ჴელსა კაცისასა, მოკვეთილს იდაყვამდინ. ში-შით და სიზიზღით გარდაავდო იქით სისხლიანი ასო, და გონება მიდებული მიდგა წინ.

კუალად მღვიმიდგან გამოხდა ხმა ცემისა და ალიას

ახლად მოხჭდა მხარში. იგი კიდევ კაცის ჴელი იყო! .. მან გადააგდო იგი ფეხით და მიუახლოვდა მღვიმეს. მესამედ შემორტყოცნილი საგანი ეცემა წინაშე მისა: ალია ეძებს მას მიწაზედ, და ჴელი ჯაბუკისა ხჭდება მკუდრის თავსა, ახლად მოშორებულსა სხეულიდგან. . . . ალია შედგა: მას შეეყინა ლოყები და მგზავსად წმინდა ნევსსავით სიცივემ დაუარა სრულიად ასოებში. მან იგრძნო შუბლზედ ცივი ოფლი და მამაცობა მისი დაიკარგა.

ვითარცა მარმარილოს მეგლი საფლავისა, ალია იდგა შეურყევლად წინად საზარელისა კამარისა. ჰაზრნი მასნი ირეოდნენ; თვალებში ეცხადებოდნენ ბრწყინვალენი წინწკალნი, რომელნიცა ზედაზედ ელავდენ დამის შავსა საბურველსა ზედა.— რამტენსამე წამს იგი იდგა შიშით შეპყრობილი.

არა დავბრუნდე შინ? . . . მაგრამ განა ვერჩუწნები მე დერბენდში, რომელ გადვიარო თჳს მხთალობა? მე უნდა დავმცირდე წინაშე ყოველთა! მე, უვაჟკაცესი დაღესტნელებში! . . . თუმცა წინაშე ჩემისა განედოს სრულიად სამეფო ჯოჯოხეთისა, მე მაინც უნდა შევიდე

მღვიმეში.

ალიამ იგრძნო თვის შინა უწინდელი მამაცობა. ვინც გინდა იყო, შესძახა მაღლითა ხმით: ავი სული, ანუ მკუდარი, ნუ მიღობამ მე შესავალისა შენის სავანისასა! ერთის მინუტის მუნ ჩემს ყოფითა არ შევარყევ საუკუნოს შენსა განსვენებასა; არა მოუძლურდებიან შენნი შემძლებელობანი, უკეთუ იტყვიან, დაღესტნელმა ალი-მახმედმა გაბედა ერთხელ შესვლა ქუწში კამარისა შენის მღვიმისასა! . . .

ფრიადის დ~ გამოუსახველებელის ღმუილით დაბურვილის მღვიმიდგან ფიცხელად გამორბის მასთან ჩუენება. ალია შეშინებული უკუდგება. მან იშიშვლა ხანჯალი თვისი დ~ მომაკუდინებელი რკინა თრთის ჴელსა შინა მისა. . . .

მაგრამ რა შეემთხვა სალჯვენახსა, მიმავალსა დღეობაში ტ. . . იგი მშვიდობით მივიდა მუნ თვსის მხლებელის ზამანათი, დ~ მიღებულ იყო იგი სიხარულითა, ახალგაზრდა ტოლთაგან, რომელთაცა კიდეც დეეწყოთ სიმღერა დ~ თამაშობა წვრილი ყვავილებით იატაკიდგან ჭერამდმდე დახატულ ოთახში.

კედელი ერთის ეტაჟიანის სახლისა, პირ-მოქცეული ეზოსაკენ შედგენილი იყო მრთლად ჩუქურთმიანის სხუა და სხუა ფეროვ ეთა ფანჯარაიაგან; მათ სიგრძისა-თჳს ასწიეს იგინი მაღლა და გაჩაღებულთა ცეცხლთა სი-ნათლის შუქზედ ბრწყინავდა ხმოვანი შადრევანი, რო-მელიცა აღმოდიოდა საშუალ ეზოჲსა, ოთხკუთხიან აუზ-ში, გაკეთებულისა თლილის ქჳფითა. ეზო, არ იყო დი-დი და სამთავე მხრიდგან შემოზღუდვილი გალავნითა, რომელთა ზედაცა გარდიფოთლებოდა ვაზის შტოები, მოხრილნი სიმძიმისა გამო დიდთა მტევანთა. გარემო აუ-ზისა ისხდნენ ნუქერნი, და კეთილ-გამოძმიებლობითა უ-ყურებდნენ მოთამაშე ქალთა.

თამაშობანი მათნი უმეტეს იყვნენ თჳთეულნი, და ცა-ნადნი ქალნი ერთიწინაშე მეორისა გამოიჩენდა თჳსსა სიმარდესა. ვერცხლის ფადნოსებზედ მიართმევდნენ მათ სიტკბოებათა, შარბათსა და ხილსა.

ჩემს ქმარს სურდა დღეს მოსვლა შენ ძმასთან უთ-ხრა სახლის პატრონმა: მას უყუარს ალია როგორათაც ნათესავი.

ვგონებ იგინი მხიარულობენ ეხლა არა უნაკლეს ჩუ-

ჩნისა: ალიასათჳს სასიამოვნოა მისი ნახვა, მიუგო სალვენასსამ. შენ როგორღაც ვერა ხარ დღეს მხიარულად?

ოო, პირიქით! მაშ სადღა უნდა გავმხიარულდე. თუ არ აქა?

მაშ აიღე დაირა; ერთხელ მაინც დაუკრე.

იგი დაემორჩილა ხოლო პატივცემისათჳს: ადგა სალიჩიდგან, მარდათ მოაგრიალა ჟღრიალა დაირა, და სუბუქად დაჰკრავდა-რა მას ზედა თეთრთა ჴელთა, დაუარა ლეკური. ყოველი მისი მოძრაობა სრული იყო მშვენიერებითა. მაღლის ტანის ცემით, ტოლთა მისთა დაამტკიცეს მისი უპირველესობა მათ შორის. წუნარმან დაღისტნის ელფეროვანმა ქალმა თავი დაუკრა სტუმართა, გადასცა დაირა, და დაჯდა ძველს ადგილს.

გულიანად თამაშობდნენ მისი ტოლნი და ამცნეს მას თჳსი მხიარულობა. სალვენასსა გამხიარულდა, და შეერთდებოდა ხანდისხან მოთამაშეთა თანა, და ყოველთჳს ათავებდა თამაშობას საქებურად.

რამდენჯერმე განაახლეს ცეცხლი გარეშე აუზისა. თუმცა დაგვიანდა, მაგრამ იგი არა შეიმჩნევდა დრო-

ზასა, უმეტეს იმისთჳს, რომ ერთობ სტუმარნი მიწვეულ-ნი იყჳნენ ღამე დგომით ამა დღეობაში.

ქალბატონო! გამოთქჳა ვიღაცამ დაბლის ხმით სალ-ვენასსას უკან, რომელიცა იჯდა ფანჯარასთან.

იგი მობრუნდა და დაინახა ეზოში მისული მასთან ზა-მანა.

რაგინდა ზამან! ჰკითხა მან. რაღაცა გინდა მითხრა მე? თქჳი.

ჩუმათ, ქალბატონო! მიუგო ნუქერმა. მე მინდა მეთ-ქჳა შენთჳს, რომ დროა შენ წასვლისა.

არა მე არ წამოვალ: მე აქ ვრჩები ამ ღამეს. წადი დაიძინე.

არ შეიძლება აქ დარჩომა! უნდა წავიდეთ. წყნარა ილაპარაკეთ!

ეგ რასა ნიშნავს? რატომ არ შეიძლება დაშთენა?

მე გეტყჳ შენ ყველას, ნუკი შეგეშინდება: მე, მგო-ნია მიუსწრებთ შინ კიდევ დროზედ.

ძმა ჩემი ალია?

დიაღ, ალიას ჩხუბი მოსვლია ამ სახლის პატრონთან თჳსთან ვახშამზედ, და ამბობენ, რომ ამ ღამითვე ჰსურთ

მათ მორჩომა.

შენ ვინ გითხრა ეგ, ზამან? ჰკითხა კანკალითა სალვენასსამ.

გამვლელმა თათარმა, რომელიც დასწრებია მათ ჩხუბში.

მზათ არის ჩემი ცხენი?

მზათ არის.

მაშ წავიდეთ! მე ამ საათსვე გამოვალ ჩუმათ, დოზეს გარეთ მარცხნივ.

სალვენასსამ, გამკრთალმა და ძლივსღა მდგომარემ ფეხზედა, ისარგებლა სტუმართ გართვის დროთა, ფარულად გამოვიდა სახლიდგან, შესჯდა ცხენზედ, ზამანამ დაიჭირა ჯილავი და იგინი მსწრაფლად გავიდნენ სოფლიდგან. ღამე იყო ბნელი, მაგრამ ზამანამ იცოდა ყოველნი ბილიკნი და ყოველნი უუმცირესნი ნიშანნი მინდორთა შინა.

ზამან, მართალია თუ ეგ ამბავი? ხომ არ შესცდა თათარი! ის ვინ არის? ან სადარი? . . . და ან სხვა რა გითხრა მან? წინასწარმეტყველის მადლს, მითხარ მე მართლა; მითხარ, ცოცხალია ჩემი ძმა?

სალვენასსა აიმსო ცრემლით; ნუქერი მიდიოდა თანასწორის ნაბიჯით, და მოკლედ უპასუხებდა მას: ალია ცოცხალია. ჩუენ მიუსწრობთ.

ზამან! მე მგონია, რომ ჩუენ კიდეც მივახლოვდით. ჩუენ დიდიხანია გზაში ვართ, მალიან დიდიხანია. . .

ახლა არა ვართ შორს, ნახევარ ხმაზედ თქუა ნუქერმა, და ვითომც თუ წავიდა წყნარად.

წადი ჩქარა, ზამან! აქ უნდა იყოს ჩუენი ბადიც. არ ვიცი. . . გზა მალიან რათ გრძელდება. . . შენ იმ გზაზედკი მიხვალ?

ეხლა მალე. . . აჰა იქ! მიუგო მოსამსახურემან.

სალვენასსა აკვირცვებს თვალს, ხედავს, ვითომც ბადისა. ზამანა შედგა.

ჩუენ მივედით! თქუა გარდაწყვეტის ხმით ზამანამ.

როგორ? შენ რას ამბობ! ჰკითხა განცვიფრებულმა ქალმა.

დიახ! ჩუენ მივედით, თქუა თათარმა, მიახლოვდა რა მასთან, და მარჯვენას ხელით მეგობრულად მოეკარა რა მისა წელსა.

ზამან! დაიყვირა მრისხანის ხმით სალვენასსამ: რო-

გორ ჰხედავ შენ? . . .

დამშვიდდი, სალვერასსა! ნუ ჰსჯავრობ ჩემზედ! მე ვარ ერდგული ყმა შენი. ალია ცოცხალია; ის შეექცევა მეგობრებთან, არცარავისთან მოსვლია ჩხუბი და ან ვინ გაბედავს იმასთან ჩხუბსა! ყოველი, რაც გითხარ მე შენ, სულ ტყუილია. . .

ტყუილია! შენ მე მამატყუე?

დიახ! მოგატყუე. მაგრამ დრო ძვირია. გამიგონე მე, სალვერასსა. . . . ყურადღებითა. . . . მე გიამბობ შენ ყველას.

ათასნი სხუა და სხუანი შემეცნებანი აღელვებდნენ ჟენდურსა; იგი მოხდენილად და შიშით უყურებდა ზამანას, რომელიცა არ უშვებდა ხელიდგან ჯილავსა.

მამა შენი, სალვერასსავ, იყო უწინ ღარიბი ჩემსავით, ვაჭკაცობამან მიაღწევინა მას წოდებასა ხანისასა და სიმდიდრესა, რომელნიცა გარდმოვიდნენ შენ და შენ მამაზედა. თავ განწირულის დაღესტნელების ხლმითა მან აღაოხრა მრავალნი ლეკთა სოფელნი, შეაგროვა ქონებანი და შემდეგ გარდააქცია იგინი მდიდართა სამფლობელობათა შინა თქუენთა. ერთ თჳს დაცემათაგანში მან

წამიყვანა ტყუეში, მრავლად დაჭრილი და თითქმის-და ცოცხალი. არ ვიცი ვიქნებოდი თუ მაშინ ოცის წლისა. ჩემი თავგადადებული ვაჟკაცობა მას მოეწონა. მან მომარჩინა მე დაჭრილობიდგან, შემასხა ალერსითა, თჳსი მეგობრობაც მიბრძანა. მე ვიყავ აღძრული მისის ყურადღებითა, და მალე დავემორჩილე მას უსათუოდ. ის მექმნა მაგიერ მამისა და ძმეისა, რომელთა მკჳლელი იყო თჳთ. მასთან ვიყავ მე მრავალს უეცრად დაცემაში, მაგრამ ბოლოს რიცხვი ჩჳენთა ამხანაგთა ფრიად დაცოტავდა, და მაჰმედ-ხანმა მიიღო განძრახვა შინ დაბრუნებისა, აუარებელის საუნჯითა. ერთხელ ღამით, როდესაც ყველას ეძინათ, მან მიხმო მე თჳსთან გამიყენა გვერდზედ და მითხრა: ვაჟკაცო, ერთგულო ჩემო ზამან! შეგიძლიან მე მოგანდო შენ ძმიმე საიდუმლო?— მე უპასუხე: მაგაზედ ნუ გაქმნებათ იჭჳნეულება ჩემში. — შენ ჰფიცავ დაიმარხო იგი?- ვფიცავ!- ზამან, თქჳა მაშინ მუხამედ-ხანმა: მე გენდობი შენ, გამიგონე! ბედი მაძლევს მე შემთხვევასა გავმდიდრდე. ჩჳენი საპალნეები გავსილნი არიან ძვირფასის საუნჯითა: მე ერთმა ვიცი, რამოდენ ჯამამდინ განვრცელდება ჩჳენ მიერ შეძინებული

ქონება. დერბენდში ვიყავ მე ღარიბი, მეგობარნი მე არა მყვანდნენ. ეხლა, დავბრუნდები რა იქ, მარადის უნდა მე ვერიდებოდე სიმურესა და გაუძღომრობასა, მასთანვე თანა მოდუაწენი ჩემნი მომთხოვენ გაყოფასა შემინებულთა ქონებათა. ზამან მე მინდა დავმალო უდიდესი ნაწილი ჩუენის დავლისა, და დანარჩენი გავყო თანასწორო, რათა ვაჩუენო მათ ჩემი დიდსულოვნება.— იცი სალვენასსა, იწყო ზამანამ, საზარელი მღვიმე კლდეში! . . . აგე იქ! დერბენდის გაღმა მხარეს! . . . მას შინა ღამით ჩუენ დავფალით მოტაცებული სიმდიდრე. . ეხლაკი ის იქ აღარ არის: ჩუენ სულ ამოვიღეთ განგრძელებასა შინა მრავალთა წელთა. შენ დაიბადე ბიროველ წელს ჩემის მოსვლისას დერბენდში. მე დამყუანდი შენ კელში. დამცველი საიდუმლოისა მამისა შენისა, მე ვიყავ უმეტესად მისი მეგობარი ვიდრე ნუქერი. იგი მოკუდა ჩემსა კელში. შენ დამშთი მე უძვირფასეს ნიშნად მისის მეგობრობისა,- და მას აქეთ შენ იცი ჩემი ერთგულება. წინაშე თვალთა ჩემთა შენ აღიზრდებოდი და აღუვავდებოდი, ვითარცა ვარდი. მე გხედავდი შენ ყოველ დღე; გიმზერდი შენ, და არა განვიძრახავდი, რომელ უო-

ველ დღით შენ ახლოვდები ასაკსა, რომელიცა განმაშორებდა მე შენგან და მომაკლებს შენ მონებასა, რომელიცა შეადგენდა ჩემსა მხოლოობითსა კეთილსა. საზარელმა ჭაზრმა შეარყია ჩემი გონება, გამოსწვა ჩემი ტვინი,- დავკარგო შენ! . . . არა, ქალა მიწა და ცა უღონონი არიან წინაშე ჩემსა! . . .

ვითარცა მეხ დაცემული, სალვენასსა თრთოლითა ერიდეოდა უნაგირზედა საშინელს თათარს. ფიქრნი მისნი საშინელად აირეოდნენ; იგი დამუნჯდა და ვითარცა უგონო უყურებდა განსაკრთომელსა ნუქარსა.

სალვენასსავ! იწყო მან: მე მოვიფიქრე ყოველი, შენ უნდა მეკუთნოდე მე! მე ჯერეთ არ ვარ მოხუცი; თუმცა ჟამმა და შრომათა დასტოვეს შუბლსა ზედა ჩემსა ღრმა ბეჭედი, მაგრამ მკერდსა შინა ჩემსა იწვის ადრინდელი ცეცხლი ჭაბუკობისა და, ჴელმა დაიმარხა უწინდელი ძალა. მე შევიგნებ ყოველსა! შენთან, ვინ გაბედავს იფიქროს ჩემი ძლევა? სიმდიდრეს, ხანობას, თავადობას-ყოველსა ავიღებ ხანჯლითა და დავამხობ ქუეშე ფერხთა შენთა ნარნარო ალლახისა ქმ-ნილო, ვარდო სულისა ჩემის, შეისმინე ჩემი ვედრება! დაუტეოთ დერბენდი, ჩუ-

ენ ვიპოვნით სასიამოვნოსა ცხოვრებასა კავკაზის მთათა შინა, და იქ ფრიად მცირე ნდომა შენთა სურვილთა იქნების ჩემთჳს იგივე, რაჲცა ჰსჯული წინასწარ მეტყუელისა. . .

სალვენასსა ცახცახით მოისმინდა სიტყუათა ნუქერისასა. დასასრულ ვითარცა აღმდგარი კუბოდგან ანუ უეცრად მიიღორა ზეგარდამო შთაგონება სიმხნეობისა,- ზამან! შესძახა მან ბრძანებლობისა ხმითა, აღვსებულისა ძალითა და რისხვითა,- სათაკილო და მზაკუვრო მონავ! ვის წინაშე ივიწყებ თჳსსა სამაგლობასა? სასჯელი შენი ახლო არს: წამიყვანე მე მმასთან, ანუ ხვალვე სამაგელი შენი თავი გადმოვარდება შენის სხეულიდგან! წამიყვანე დერბენდში: მე შენ გიბრძანებ.

საშინელი რისხუაა! შესძახა დაცინებით ზამანამ. ამაოდ ჰფიქრობ შენ მუქარითა განმაშორო ჩემს განზრახვას. შენ ხარ ჩემს ბრძანებლობასა ქუეშე; და გირჩევ იფიქრო, რომელსა ჩუენთაგანსა აქუს უმეტესი უფლება თჳს საქციელთა შინა. . .

ამოსავარდნელო! იცოდე, რომ ხვალვე სისხლი შენი დაიღურება მეიდნის ქუებთა ზედა, ხვალვე. . .

არა ეგ არ იქნება! მიუგო მას თათარმა მხეცურის ხმითა. შენი შეურაცხობა მაძლევს მე ყოველსა ნებასა შენზედა. ამ სიტყვით ჰსტაცა ჴელი საწყალსა სალვენასსასა და მალოვანითა ჴელებითა გადმოგლიჯა იგი ურაგირიდგან. შეშინებული ცხენი დაიკარგა სიბნელეში.

ოჰ თუ რომ გმირსა ალიასა ჰსცოდნოდა მაშინ მდგომარეობა დისა თჳსისა! მაგრამ ალია არა ფიქრობდა სალვენასსა ზედა. სრული უსარგებლოჲთა თავის მოწონობითა, იგი ენთებოდა მხოლოდ მოუთმენლობით დაამტკიცოს თჳსი გამბედველობა და განაკჳირვოს დებრენდი.—

ამაოდ ბოროტ მიდებული სალვენასსა ახმოვიანებდა, თავგადადებულითა ტირილითა, მეუდრიანობასა და მოიხმარებდა ყოვლის ღონის მიებასა, რათა დაეღწიოს ჴელიდგან თათრისა: ხმა მისი ჰსწყდებოდა უადამიანო გარემო ადგილებში, მონამან ადვილათ განიტაცა მსწრაფის სიარულით, და მან ანაზდათ იგრძნო თავი თჳსი ცივს, თითქმის ზამთრის ჴაერში. მან იხილა თავსა ზედა თჳსსა საზარელნი მღვიმისა კამარანი.

ავაზაკო! შესძახა მან მიხრწნეულის ხმით, სიკჳდი-

ლი! . . . და მარდათ ამოიღო თჳსი ხანჯალი. კანკალ-ობს რა აღტაცებისაგან, იგი უქნევს სასიკჳდინებელსა იარაღ-სა და ყოვლისა ძალითა უგმირს გვერდში თათა-რსა. რკინამ დაიჭრაჭუნა გვერდებში, სისხლი მტაცე-ლისა გადმოსკდა ორათ განყოფილისა გულიდგან; მან დაიბარბაცა. . . ჴელნი მისნი დაეშვებოდნენ და იგი გა-ერთხმოდა მკჳდრად სალვენასსას ფეხებთან, მაშინ, ოდ-ეს კამარანი მღვიმისა გამოხმობდნენ საზარელითა მის ოხ-ჳრათა.

მის ჴელში, შემჭიდრებულისა მალიანისა ცახცახითა დარჩა გასისხლიანებული ხანჯალი. ასონი მისნი თრთ-ოდნენ, ცივი ოფლი მსხვილ წვეთ წვეთად ჰსცვიოდა შუბლიდგან, და ანაზდათ შეეცვალა ღაწვნი მჭვირცხლითა სიცხითა; პირი გაეღო და გაშრობიყო, მის ყურთა შინა ბჟუოდა ხმიანობა. უეცრად გვამი, რომელიცა ეგდო მის ფერხთან აკანკალდა უკანასკნელითა სიკჳდილისა ხიხი-ნითა. სალვენასსა კივილით გახტა გვერდზედ. მკჳდარი დაწყნარდა. ის მაინც კიდევ იდგა უგრძნობელი ზურგ-ის მინდობით დიდ ქჳაზედ, თავი მისი ენთებოდა; შეი-მლეოდა შორით გაგონება ცემა მისის გულისა.

ძლივს მოვიდა იგი ნახევარ მნათობ სულის მდგო-მიარობაში, მსწრაფლ ესმის, რომ ვიღაცა ახლოვდება მას სასჯელ მისამართალდმი. დაივიწყა რა შიში, რომელმან-ცა შთააგდო იგი უუმაღლეს ხარისხ უგრძნობელობაში, იგი ვითარცა უგონო ქმნის იპოვნის ხანჯალი, რომე-ლიცა გავარდა მას ჴელიდგან, მიირბენს გაშხლართულ თათართან, გაშფოთებული დაჰკუწავს მას სახსართა და ძლიერითა მოქნევითა ესვრის მათ სასტიკ მომავალს სა-საფლავიდგან. უბედური ფიქრობდა გამოეხსნა თავი თჳ-სი ახლისა განსაცდელისაგან! მაგრამ უშიშარსა სტუმა-რსა ვერ უკუაყენებდნენ სისხლიანი ტყვიანი, გამოტ-ყორცნილი მღვიმიდგან! . . . ძალნი აწვე დაუტევე-დნენ სალკვენასსასა, თავბრუ ესხმოდა, ხელნი ედუნე-ოდნენ და სასიკუდილო დამაშვრალობა დაუვლიდა მრთ-ელ სხეულში; იგი მოემზადა დაცემულიყო მკუდრათ მღ-ვიმის შესავალთან, როდესაც მოესმა ხმა. . . იგი ყურს უგდებს, მას კიდევ არა ჰსჯერა. . . ცეცხლმა გამოუ-თარგმანელისა გრძნობისა, მსწრაფისა როგორათაც ელ-ვა, დაარბინა მის ძარღვებში; იგი გამოვარდების მღ-ვიმიდგან, და ეხვევა თავის მმასა. გაოცებული, და შემ-

ერთადმა ალიამ არ იყო რომ შეიოჭქნია ხანჯალი მოჩვე-ნებისა. . . .

შეჰსდექ, ალი! დაკჳრა ჯერ არს ბრალეულისა! და-კჳრა ძმის მკჳლელობისა! მე ვარ შენი სალვენასსა! . . .

სიმტკიცემან სულისამან შეიმაგრა მისი ჴელი. ალია გრძნობს — მკერდსა ზედა თჳსსა ჭაბუკსა დასა, და ხა-ნჯალი მისი ეცემა დედამიწაზედ.

სულის დიდ ძალის დატანჯვათა მოღალეს საწყალი ქალი: მან დაჰკარგა გრძნობანი. როგორათაც დამჭკნა-რი ვარდი, მოადრიკა თავი ძმის გულზე და დიდხანს იწ-ვა ესრედ. ხოლო სუსტი — გულის ცემა დაუმტკიცებდა ალიას, რომელ სიცოცხლე სალვენასსაში, ჯერეთ არ გა-მქრალიყო.

ადახილნა თვალნი, სალვენასსა ათრთოლდა. სახა-რელი გარდა-სავალი, როგორათაც მახლობელი ძილი, ჯერეთ არ განშორებულიყო მის ფიქრთა შინა უწინდე-ლისაგან, ალია ცდილობდა დეემშვიდებინა და, აიყვანა იგი და იპოვნარა ცხენი სასაფლაოზედ, მოიყვანა სალვე-ნასსა დერვენდში. იქ უამბო სალვენასსამ ძმასა მუხთლო-ბა და სიკჳდილი ზამანასი. სტუმარნი არღა იყვნენ შა-

ნა.

მკერდვასი ხანჯალი სალვენასხასი დარჩა მღვიმეში; ხანჯალი ალიასი ძევს შესავალთან. მტაცებელთა ტურათა წაიღ წამოიღეს ოთხად გაპობილი გვამი თათრისა. უბნობენ, რომ ჩრდილი მისი ყოველღამ მოდის შეკრიბოს სხეული თჳსი, ჰკჳნესის და მოშორდების ღმუილითა ხანჯლის ელვარების დანახვაზე.

მას აქეთ მღვიმე გაჰხდა უფრო უუსაზარლესი.

სალვენასხამ მალე დაივიწყა თჳსი გარდასავალი. მაგრამ აქამომდე ყოველნი უბნობენ დერბენდში: არა ყოფილა უმშვენიერესი სალვენასხასზე — მრთელ დერბენდში! არა ყოფილა და არცა იქნება უკაჟკაცესი ალიაზედ!

თარგმანი რუსულით თა. გიორგი ზარათოვისა მიერ.

დასასრული.

მოკლედ სიტყვის გება სოკრატისა. ჰსწავლა ბერძ-ნული. თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან. და ლექსად ნათქვამი მეფის ვახტანგისაგან. —

რუსთველსა ენა შაქარსა, უქნია რისმე მკობანი,
სიტკბო სიბრძნე და იგავნი, ცოლქმართა აშიკობანი,
ზეგრად საჩხრეკი ვერ მიხვდენ მიბაძეს ცუდი კმობანი,
და სამღთო წერილი საცრუთოდ, თქჳს და დავგიგდეს გმობანი,
არ მწადდა წიგნის გალექსვა, ბრძენთა მაწვიეს მადეს
შევკრავთ ჰსწავლა სიბრძნისა, მოკლეს სიტყვითა მხადეს,
პასუხი უგონ ერთმანერთს, სიტყვისა დამაქადეს,
და უთხარით ლოცვა ძმობისთჳს, მეფეს შენდობის მწადეს,

ვარდზედ მყეფელი ბულბული, გაუშვი ჩიტთა მდევ-
ელმან,
ჩრდილი ცაცხვისა საამო, მახის მაფისა მწეველმან,
ვერა მოვკრიფე საკრეფი, სხუისაგან დამამძლეველმან,
და მაგრამ შეატყუოს შემტყუებმან, ჯაშნიკის დამალევე-
ლმან,

კეთილის კაცის წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და
უკანკი ჰსძრახვიდეს.—

არა შვენის გვარიანსა, პირში ქება უკან ძრახვი.

ნიშანი ჭკუისა ის არის, კაცს კაცის განსაცდელში ჩავ-
დება უმძიმდეს.—

მართებს სხუისა განსაცდელი, სხუისაც ჰქონდეს სა-
წუხარად,
სიკეთე უჭკუოდ, ცარიელი არის.—

უჭკუოდ კაცის სიკეთე, ვაი რა ცარიელია,
თუ საქონელი გქონდეს, ასე შეინახე, სხუისა არა გაუ-
რიორა.—

გაუტეხელობის მისიცა, თუ სხუისა განარევა,
გამარჯვება უომრად, დიდი სახელი არ არის.—

ვის მიხუდება დიდ სახელად, უბრძოლველი გამარ-
ჯვება,

სიხარბე, უსარგებლო და ყოველთჳს დასაკლისია.—

უსარგებლო და დამკლები, სიხარბე ვაუძლისია,
შენს თვალს უფრო დაუჯერე, სხჳს სიტყუისაგან.—

შენგან ნახულსა ნასმენი, უფრო რა დასაჯერია,
არიან მრავალნი, თჳსას დაჰკარგვენ და სხჳსას კი ეჭი-დებიან.—

თჳსას დაჰკარგავს უცები, და სხჳსას ეჭიდებისა,
მორჩილის შვილისათჳს, მამის ბძანება მძიმე არ არის.—

მეს ბრძენსა მამის ბრძანება, მძიმედ არ აუჩნდებისა,
კეთილი ცოლი ქრმისათჳს, თავის თავის სიკუდილს გა-ნიხარებს, და ბოროტი ქრმის სიკუდილის მონატრეა. ამ-ისთჳს ერთი სიხარული და მხიარულებაა. მეორე ტირი-ლი და სასჯელი.—

კარგი ქალი თავის ქმრისთჳს, სიკუდილს თავსა არ არიდებს,
ავი ქმრისა სიკუდილზედა, არ გაჰყვენ არცა რიდებს,
ერთი არი სიხარული, ლხინსა მისცემს კაცსა დიდებს,
და ის მეორე შეჭირვებად, ქმარს სასჯელსა ზურგსცა ჰკიდებს,
მშვიდი წყნარი და მორცხვედი, ქალი თავისა მცველია,

სახლისა მაშენებელი, გვირგვინი უეჭველია,
შვილთა მომვლელი ქმრისათჳს, შემწე და მინაშველია,
და კაცს მოშლის გულსა მოუკლავს, ენა გრძელი და მწ-
ველია,
მეგობარს ასრე არგე რამე რომ შენ არ წაკდე.—

ვან მოუჭარეს ვერას არგებს, თავსა რატომ განიქ-
იქებს,

სოკრატი კჳდებოდა და უკანასკნელი ლოცვა ღმერთს ესრეთ შესწირა; დამბადებელო ღმერთო, ყოვლისა სულისა. და სიბრძნისაო. შენ შეგვედრებ ჩემს სულს.—

სოკრატ მოკჳდავი უფალსა, ილოცავს ევედრებოდა,
სიბრძნის დამბადო ყოვლ სულთა, სულსა შენ შეგვედ-
რებოდა,

პლატონ ბრძენი ათონელი მოწაფე სოკრატისა, პირველად ეწოდა არისტონ, და შემდგომად სივრცისათჳს გულისა უწოდეს პლატონ: პლატონ ითარგმანების ვრცელად. და რომელთამე სიტყვის სივრცისათჳს უწოდეს: ამისთჳს რომ, ყოვლის კაცისაგან სოკრატის ჰსწავლა უკეთ ისწავლა.—

პლატონ ბრძენია, ბრძენია, ქჳყანით ათონელია,

მოწაფე იყო სოკრატის, სიბრძნეთა შიგან მრთელია,
პირველ სახელად არისტონ, მისთჳსვე დასარქმელია,
მერმე სივრცისთჳს გულისა, პლატონად სასმენელია,
პლატონ თარგმანით მის ენით, ვრცლად არის საცნობე-
ლია,
ზოგთა მაზედა უწოდეს, სიტყჳსა ვრცელად მთქმელია,
და მით ყველას უკეთ სოკრატის, ჰსწავლისა მოსწავ-
ლელია,

კეთილი მთქმელი შემსმენი, მომგონი არ იმწარებსა,
რაგინდ რომ ბევრი ისწავლოს, კჳლავ ც[illegible] არ [illegible]
[illegible]ებსა,
სახელი დარჩეს ბოლომდინ, ვინც იწადს ვინც იკადრებსა,
და სიბრძნე კარგია სასწავლოდ, ვინც კარგად მოიკმა-
რებსა,
ეს დღეში ღმერთს მადლობას სამჯერ შესწირვიდა: კა-
ცად დამბადე და არა პირუტყუად. ელენად და არა ბარ-
ბაროზად. და სოკრატის სიცოცხლესაც მამასწარ.—
დღეში სამჯერ პლატონ ბრძენი, ღმრთისა მადლსა
შესწირვიდა,
ბარბაროზად არ დაბადა, ელენთაგან გამოვიდა.

არ პირუტყვად კაცად იქმნა, უმეცრობა ვერ დასწვიდა,
და შემოასწრა სოკრატ მთელსა, მის სიბრძნესა დაიცუვიდა,

კარგია ღუთისა მადლობა, დღითი დღე ჟამთა ჟამისად,
რაცა მოგეცეს სოფელში, მას ხადე ყოველ წამისად,
გარდაგეცემის სიმრავლე, სხუაც არის მთქმელი ამისად,
და უმადურობა კაცისა, სულს დასწვავს წყენად ამისად.--

ამას ჰკითხეს, კაცმან თავის შემდგომად სახელი რით უნდა დაიგდოს. მიუგო: აქ კეთილის ქმნა გმართებს რომ ერმა გიცნას, და ბოლოს სახელი დაგრჩება.—

რისგან დაგვრჩება ჰკითხვიდენ, ბოლომდინ კაი სახელი?
პირველ თუ გიცნეს კეთილად, ის შეგექნება სახელი,

გულმწყრალთა და მემთვრალეთ, სარკეში ჩახედვას ურჩევ, ეგენის თჳსი უშვერება იხილონ და მოიშალონ.

ურჩევ სარკეში ჩახედონ, მთვრალმა და გაჯავრებულმა,
ჰსცნან უშვერება სახისა, ეგების ვავლახ ჰქნულმა,
ჯავრიანი კაცი დიდად უსახურია, როგორადაც ჰსწყრენ

სახის მეტყუელნი.—

გულ მწყრალთა უსახურობას, სახის მეტყუელნიც ჰსწერენო,
ბაგე კეთილი ჯავრისაგან გაშავდება, სისხლით აღვსილნი მარღჳნი თვალთ გაალურჯებს.—

გაუშავდება გულ მწყრალსა, კეკლუცი ბაგე ლალები,
სისხლით აღვსილის მარღჳითა, გაულურჯდება თვალები,
პლატონ განურისხდა ერთს თავის მონას, იმ ჯავრზედ თჳსი მოწადე სენკრატ შეესწრა და უბრძანა. შენ ჰგვემე მე ვეღარა ვგვემ, ამიტომ რომ გავჯავრდი. რომელიმე მაშინ ჰგვემს, როდესაც ჯავრობს, და ფილასოფოსი თავის თავს კი ვერ ენდო რომ ჯავრისაგან საზომს არ გარდაჰკდეს.—

პლატონ მწყრალსა შემოესწრა, მას მოწადე სენკრატ თჳსი,
შენა ჰსცემე მე გავსჯავრდი, ცემაო ჯავრში მქისი,
ბრძენი ასე ერიდება, ზომას წავდეს არამც ისი,
ვინც მშას ავსა არა რიდებს, საქმე არის როგორ მისი,

არიქნას კაცი არ გვემო, არ წაკდეს წესი რიგები,
ნურც შურით ნურცა მტერობით, და ამ გვარები მიგები,
სიყვარულითა რაც აკრავს, მწვირე დასცვივდეს იგები,
და სიბრძნით და გასინჯულობით, ზომიერ ჩანარიგები,
პლატონ ჰრქუა თავის მონას, უსაცილოდ გცემდი თუ
გული არ გამჯავრებოდა.—

გული არ გამჯავრებოდა, მრავალსა გცემდი მონაო.
ჰკითხეს, რა განყოფილება არის მცოდნეთა და უცოდნეთ
შუა. მიუგო: რაც სნეულთა და მკურნალთ შუაა.—

უცოდნეთა და მცოდნეთა შუა, განყოფაა როგორ დი-
დი,
მკურნალსა და სნეულს შუა, უთხრა არის რაცა კიდი,
ანტისტე როდესაც ლაპარაკს დაიწყებდა, დიად გვიან
გაათავებდა. პლატონ უთხრა: შენს ლაპარაკს საზომი გა
ნმგონმა უნდა დაადვას, თვარემ შენ ხომ არიცი.—

მეტსა ზრახევდა ანტისტე, უთხრა პლატონმა ესედა,
უნდა მსმენთ დასდვან საზღვარი, შენ ხომ არ განიწყუ-
სედა,
სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, გამგონე გასინჯე. თუ
იმან შენი სიტყვა ვერ გაიგონა ქარი წაიღებს. კვალად

თუ გამგონე შეჰკრთა, შენს ლაპარაკს ვეღარ შეისმე-ნს.—

მსმენს ესმოდეს ისე რამ თქუი, ქარმან ცუდად არ წაიღოს,
თუცა ყური სმენად შეკრთა, მართლა ყურად ვეღარ იღო-ოს,

კორინთელთა პლატონს ჰსთხოვეს. რათა ჰსჯული დაუ-დვას. მან მიუგო: იქ ჰსჯულის დება არ იქნების, რომე-ლთაც თავი ყოველთაგან უფრო ბრძენი ჰგონიათ.—

ჰსჯული დაგვიდევ კორინთელთ, ვით გინდა პლა-ტონ გვინებსა,
სხჳის უბრძნეს თავის მომწონი, ჰსჯულსა ვერ შეიმი-ნებსა,

ერთმან ვინმე პლატონს დიმილით უთხრა. სადამდი უნ-და ჰსწავლაში იყო. მან უთხრა: სანამდი ჩემის თავის სი-კეთე არ შემშურდება.—

სანამ იქნები მოწაფეო, დიმილით უთხრეს შენაო,
მანამ სიკეთე თავისა, არ შექმნას მოსაწყენაო,

უმეცარს კაცსა, სიყრმეს უკან ჰსწავლა სირცხვილად ჰს-ჩანს, მაგრამ ფილასოფოსი სიკჳდილამდის ჰსწავლაში

გააროჩინებს თავის ცხოვრებას.—

ზოგს სირცხვილად მიაჩნია, სიყრმეს უკან კითხვა ჰს-წავლა,
მაგრამ ბრძენთა სახელად ჰსჩანს, სიკჳდილამდი მაინც ჰსწავლა,

პლატონ იყო კაცი კეთილი. ყოველთჳს ყოველი თავისა თჳსისა ჴორცით ნება მოჰკლა და ესრეთ ისწავლებოდა, კაცს სიკჳდილისა ნუ ეშინიან. ესე ფილასოფოსთაც ჩჳ-ეულებად შეექნათ, სიკჳდილის უშიშროება. არათუ ეს-რეთ ჰსთქჳა სიკჳდილის ფიქრი არდარავისა ჰქონდეს, არამედ ბრძენი კაცი იგი არს, რომელიც სიკჳდილისა-თჳს ფიქრობდეს. სიკჳდილი ორი რიგია, ერთი ბუნე-ბითი გინა ჩჳეულებითი. მეორე კეთილ მოქმედებისა და კაის აგებულობისაგან. თავისას სიბრძნით კაცმან, ყოვე-ლი თჳსის ჴორცის ნება და გემოვნება მოჰკლას და თჳს-გან შორად განაგდოს.—

პლატონ კაცია კაცია, კეთილის შენატკაცია,
თავის ნებისა მომკჳლელი, გემო ჴორცისა რაცია,
ისწავლებოდა სიკჳდილსა, ნუ შიშობს დასაკოცია,
ფილასოფოსნი დასჯერდენ, ეგონათ გასაკოცია,

არა თქუა ასე ისი ჰსჯობს, წინ ჰქონდეს სულ საოცია,
ბრძენი ის არის სიკუდილის, ვის ფიქრი გაუოცია,
სიკუდილი არის ორ რიგი, ბუნებით ადუკოცია,
მეორე კარგის წადილით ვის ნება ადუგეცია,
და ჴორცის შვებისა და გემოსი, არის მცა სულ უვეცია,

ძნელია სიბრძნით სიკუდილი, საწუთოს ქცევა ჟამისა,
ხან აამაღლებს ხან დასცემს, ყველაა ერთის წამისა,
ნუ მისდევ ყურსა ნუ უგდებ, მისსა ამისსა დამისა,
და შენ დაიჭირე სადავე, მაგრა შენისა გვამისა.—

ამასვე ჰკითხეს, რით იცნობება ბრძენი. მიუგო: ბრძენი ის არის რომელიც ძრახვისათჳს არ შეწუხდება, და ქებისათჳს არ ამაღლდება.—

ბრძენს რით იცნობ კიდევ ჰკითხეს, ესაო მისი ნიში,
არცა ქებას აუზვავდეს, არც ძრახვისა ჰქონდეს შიში,

ჰკითხეს კაცი რით იცნობება. მიუგო: როგორც ჩინური წკრიალით შეიტყობა, ეგრეთვე კაცი ლაპარაკით იცნობების.—

კაცს რით იცნობ მან მიუგო, ვით ჩინური იცნობების,

კაცი სიტყვით, ის წკრიალით, განცხადებად შამოკრბე-ბის,

ჰკითხეს, რით იქნების კაცმა თავის სიცოცხლეში თჳსი სა
მყოფინარო საზრდო იშოვნოს. მიუგო: რისაც დიდად
დამჭირნე არიყო მისმეტს ნუ მოინდომებ ჲ სამყოფინა-
რო საზრდო იქნება.—

სიცოცხლის საზრდო რაც გინდა, ჰკითხეს რით შეი-კრებისა,

არას ემენდე მის მეტსა, რაცა არ გეჭირებისა,

ჰკითხეს რომელი კაცი უფრო მკნედ ითქმის. მიუგო: რო-
მელიც თავის ჯავრს მოერევის. ჯაბანი ის არის, ვინც
სიტყუჳას ვერ შეინახავს. იგიცა მკნედ ითქმის რომელიც
თავისის სიგლახაკის დაფარვას შეიძლებს. ჲ კჳალად მკ-
ნე უფროსად იგი არის რომელიც ბოროტის კაცის საქცი-
ელს არ აჰყუჳება.—

მაგარი კაცი ვინ არის, თქჳა ჯავრის მომკჳეთე-ლია,

სისუსტის ნიშნად გამოჩნდეს, სიტყუჳს ვერ შემნახვე-ლია,

მაგარი არის თავისი, მკდოვნობის დამფარველია,

და უფრო მაგარი არა ქნას, ბოროტთა საჩვეველია,
უადგილომ რისხვამ შეჰქმნას, სამაგელი მოსაწყენი,
წაავდინოს არ შეეძლოს, გულში სიტყუა დასაყენი,
ვერ დაჰფაროს გლახაკობა, გული ჰქონდეს ამაყენი,
და ავს ბამევდეს კარგს ელტოდეს, ჰსჯობს პირუტყუი ცუდ უენი,

ჰკითხეს როგორს ადგილს უნდა მოერიდოს კაცი. მიუგო: სადა მტყუანი და ამპარტავანი მპყრობლობდეს, და უმაწვილი მეფობდეს.—

როგორსა თემთა ვერიდოთ, ჰკითხვიდენ მასვე მისასა,
ამპაგტავანთა ადგილთა, სამეფოს უმაწვილისასა.—
ჭკჳანის კაცისაგან წყალობა თუ გინდოდეს, ავს ნურასა იქ.—

ავის მოქმედი წყალობას, ბრძენთაგან ნუ მოელისა.—
ქუეყანა ბედნიერი მაშინ იქნების, რომელსაც მსაჯული ბრძენი უჯდება. რომელსაც მარტო თავის თავის გარიგება არ შეუძლიან, ის სხვას მრავალს ვითარ გაარიგებს.—

თემის ბედია თუ დაჯდა, კარგი რამ გამგებელია,

თუ კაცი თავსა ვერ ირგებს, სხჳისას რა სარგებელია,
ყოვლის სიბრძნის საფუძველი არის მოთმინება.—

მოთმინებაა უთუოდ, სიბრძნისა სამირკჳელია,
ბოროტს აგებულებას შეუძლიან, კეთილის საქმის წაჴ-
დენა.—

ბოროტის ბუნებისაგან, წარჴდეს კეთილის ბოლო-
ნი,
მომთმინე მანამდი ვერ შეიქნები, სანამდი შენს ნებას არ
მოიკჳეთ.—

არა ხარ დამთმო ვინემდი, ნება არ მოგიკჳეთია,
სამთა საქმეთათჳს ვსწუხვარ, მდიდარი უსარგოდ, სი-
ღარიბეში ჩავარდეს. ჭკჳიანს ჭკუა მოაკლდეს, და პა-
ტიოსანი უპატიობაში ჩავარდეს.—

სამს ვსწუხვარ, მდიდარს დაეცეს, უსარგოდ იყოს
დრკუაო,
პატიოსანსა პატივი, ჭკჳიანს დააკლდეს ჭკუაო,
ამპარტავანს ყურს ნუ უგდებ, სანამ ამპარტავნობა არ
მოიშალოს.—

ყურს ნუ უგდებ ამპარტავანს, სანამ კარგა არ დამ-
დაბლდეს,

ქჳეყნის მარიგებელთ კაცთა და უფროსთა მართებსთ სხჳათ კაცთზედ გარდაცვლილნი იყჳნენ. უკეთუ იმ სხჳათ კაცებსავით ისინიც მოიქცევიან, ერნი მაგთენს არ დასდევენ პატივსა.—

მართებს სხჳაზე უფროს კაცსა, დიად რამე უკეთ ქცევა,
თუცა არის სხჳისა მსგავსად, მალ პატივი წაექცევა,
უკეთუ მამამ შვილი სასწავლოში არ მისცა, შვილმა მაშინვე უნდა შეიტყოს თურმე თავის მემკჳიდრედ არ უნდა.—

მამა შვილსა არ ასწავლის, ჰსცნას არ უნდა მისსა მკჳიდრად,
სულგრძელება არის, ვინც სიგლახაკისათჳს არ შეწუხდება.—

დათმენა სიგლახაკისა, სულგრძელებაა დიდია,
ეს გიჯობს შენს უკან შენი საქონელი მტერს დარჩეს,
ვირემ შენს სიცოცხლეში, შენს მეგობარს შესთხოვდე.—
დარჩეს შენი ყველა მტერსა, ჰსჯობს რომ სთხოვდე მოყჳას პურსა,
არისტოფ იყო ბრძენი კირინელი და მოწაფე სოკრატისი:

ამას ჰკითხა დიონისიმ. ფილასოფოსთა სხჳათ კაცთაგან უკეთის უმჯობესი რა აქჳსთ. მიუგო: თუ კაცმა რაი ჰსჯულია ყველა იცოდეს, თავის ჰსჯულზე უფრო მტკიცედ იდგება. ამიტომ რომ, სხჳას ჰსჯულში რაც ავი იმას აღარა იქს და რაც კარგია ის დარჩება. აგრეთვე ბრძენი კაცია; თუ უჳჭლა იცის რაც ავია იმას აღარა იქს, და რაც კარგია იმასა იქს.—

არისტოტეს ჰრქჳა დიონისიმ, ბრძნობით სხჳაზე რა ერგება,
ფილასოფოსთ შეუძლია, ამ საქმისა გამოგება,
ავსა კარგში გამოარჩევს, იცის რაცა მოეგება,
და კარგს მიჰყუჳჭბა ავს არა იქს, საქმე მისი გაეგება,
სარგოა ვისაც მიჰჳდება, ფილასოფოსთა წილობა,
გაადჳიმოს და განუფრთხოს, უგუნურობის მილობა,
სიტყუა თქჳას უჳჭლა ასეთი, ვერავინ უყოს ცილობა,
და პირუტყუსა კაცი ვერა ჰსჯობს, ამით აქჳს გაუწილობა,

ამასვე ჰკითხეს, რად უუჳარსთ ფილასოფოსნი დიდ შემძლე კაცთა. მიუგო: ფილასოფოსთ იციან რით განმდიდრდებიან, ანუ რით დაგლახაკნებიან.—

დიდთა შემძლეთა რად უუჭარსთ, ფილასოფოსთა ბრ-
ძენია,
იცის გზა სიგლახაკისა, სიმდიდრის შეცა მძენია.
მეორე ესე. თეთრით სიგლახაკე ჰსჯობს ჭკუით სიგლა-
ხაკესა. ამისთჳს რომ თეთრის უქონელს მარტო თეთრი
არა აქუს, და ჭკუის უქონელს იქნება რომ ღჳთის ნა-
ბოძები თავისი სახე რომელიც აქუს, ისიც მოეშალოს.—
ხელს გლახაკი ჰსჯობს რა იქნა, არა აქუს საქონე-
ლია,
მაგრამ ღჳთის ბოძი სახისა, ცოდვი მოშლისა მქნელია.
სრულს კაცს მართებს, ჭკუა, ჰსწავლა და გასინჯულო-
ბა. თუ ესენი აქუს თეთრითაც ღარიბი იყოს მაშინაც კა-
ცს უძახიან. და თუ ესენი არა აქუს, თეთრი ბევრიც ჰქო-
ნდეს მაინც კაცს არ დაუძახებენ.—
სრულს კაცსა მართებს სიბრძნედა, ჰსწავლა და გა-
სინჯულობა,
თეთრით ღარიბიც რომ იყოს, კაცობისა აქუს თქმულო-
ბა,
თუკი ის კარგი არა გჭირს, სიმდიდრით გქონდეს სრუ-
ლობა,

კაცათ არავინ ჩაგაგდებს, მოგეცეს ყვლის წყლობ.

სიმდიდრით თავი ნაქები, საქმეა უსუსურია,
ცოდნა ჭკუა და შეძლება, უჴფლასი მოსასპურია,
სიმაღლე არის დიადი, ვის ეძებს მისი პურია,
და ცდა და მოძებნა უგვანად, ვინა თქუას ვაჟკაცურია. —

ამასვე ჰკითხეს, რა სარგებელი გაქუს შენის ფილოსო-ფოსობისაგან. მიუგო: ყოველს კაცთან ყოვლის მართ-ლის თქმა შემიძლიან. ჭეშმარიტს ფილოსოფოსს სიკუ-დილისაგან არ ეშინიან და შემძლე კაცს მართალს ეტყუ-ჳს, და არცა წყალობის მოკლებისა ეშინიან. მართალის თქმა მარტო კაცსაც არ იამების. —

ჰკითხეს რას იარგებ შენისა, ფილოსოფოსთა ბძნო-ბითა,
თქმა შემიძლიან ყოვლ კაცთან, მართალი ენა ძნობითა,
ბრძენი სიკუდილსა არ ელტვის, მძლავრს ეტყუჳს ჰსწო-რსა გძნობითა,
არ იამების მართალი, მარტოკაცს მისაგნობითა,

სანატრელია სოფლისა, თუ განვლო კაცმან მზღუა-რები,
არცავისი შიში ექნება, არცა სირცხვილითა მწვარები,

რაჲ ვარგა კიდევ უყუარდეს, პატივი მისი ცვარები,
და უპირობს ართმანდა სოფელი, კჳლავ მისგან შენასვა-
რები.

ერთმა ვინმე გაჰკიცხა. ფილოსოფოსთ მდიდარნი ჰსძუ-
ლან და მალმალ უალერსებენ ხოლმე. მან მიუგო: მკურ-
ნალნიცა მრავალ სნეულებთან მივლენ, მაგრამ ერთს მკუ-
რნალსაც ვერ ჰპოებ, თავის თავის სნეულობა უნდო-
დეს.—

ბრძენთ მდიდარი ჰსძულს გაჰკილეს, მივლენ და უა-
ლერსებენ,
სნეულთანაც მივა მკურნალი, სენსა არ მოინებებენ.

ერთმა ვინმე შვილი მიჰგვარა სასწავლებლად, და მან ხუ-
თასი დრაჰკანი ჰსთხოვა. გაჰკჳრდა კაცი იგი და უთხრა:
მაგით ერთს სხჳას ტყუეს ვიყიდი. მიუგო: თუმცა იყ-
იდი მაგრამ ბიჭი იქნება. მე რომ ვასწავლი, ორი შვი-
ლი გეყოლება და შვილს იყიდი.—

იყო უმაწვილის ჰსწავლისთჳს, ხუთასის დრაჰკნის
მთხოველი,
ეტყოდა მამა მაგითი, სხჳის ტყუისაცა ვარ მშოველი,
მან უთხრა თუცა იშოვნი, ბიჭთა იქნები მპოველი,

და რა გაიწურთნება საშენოდ, ორსა ნასყიდად მოვე-
ლი,

ყოვლი უწრთველი იქნება, არათი კელ საკდელია,
ვინც ემებს მისგან კეთილსა, ცუდია მისი მცდელია,
თუგინდა შენთჳს ასწავლე, რაცა გყავს გასაზდელია,
და შენ გარგებს თავის სარჩოსი, იქნება მიმაწვდელია.

რომელიმე სტრაოფჩთაგანი დავიდოდა არისტოტელის მაგიერ მსაჯულთანა და კიდეც გაამართლა. მან სტრაოფჩმა იფიქრა და თქუა: ჩემი ჭკუა ჰსჯობს ამ ფილასოფოსის ჭკუასა და უთხრა. შენ რა სარგებელი გაქუს მაგ ფილასოფოსობითა. თუ მე არ ვყოფილიყავ გაგამტყუნებდენ. მიუგო: მე ეს სარგებელი მაქუს, რაც მე აქა ვსთქუი ის ჩემი ნათქუამი სიტყუა მსაჯულს მოხსენდა და იმითი განვმართლდი.—

არისტოტელს საქმე ჰქონდა, მისმა სტრაოფჩმა გაუ-
მართა,
მისგან მისის უბრძნესობით, დაიჯერა დაემართა,
უთხრა სიბრძნეს რასა ჰკმარობ, ესე ჩემგან წარგემართა,
და თქმული ჩემი იქ იყვენ, გადანამცა მოიმართა,
უცებს ჰგონია ბრძენი ვარ, საქმისა შემძლე მქნელ-
ადო,

გული ამაყი შეჰქნია, ძნელისა გასახსნელადო,
უყვარს და ჭკსწურების ამაზე, კაცი არა მყავს მცნელადო,
და ვეღარც ჴელფეხსა გაიქნევს, ჩავარდეს განსაცდელ-
ადო.

ამას უძრახეს, შენის მეგობრებისაგან თეთრს მალმალ სე-სხულობ. მიუგო: ამაზედ არა ვისესხულობ რომ ჩემს და-ჯირებაზედ დავხარჯო. თეთრს როგორ უნდა დახარჯ-ვა მინდა ჩემგან ისწავლონ.—

უძრახეს მეგობართაგან, მალმალ თეთრს იღებ ვა-
ლადო,
ჩემთჳს არ ვიღებ დახარჯვის, ჭკსწავლა მწადს ჩემსა გუ-
ალადო.

რომელსმე იყიდა ერთი კაკაბი ხუთ მანეთად, ერთმა ვინმე ნაყროვანებაში ჩამოართვა და უთხრა: ის არა ჭკს ჯობდა მას შინ გეყიდა რომელსაც ოთხ ფულად იქნებოდა. მიუგო: ჩემთჳს ხუთი მანეთი ისე არის, როგორც შენთჳს ოთხი ფული ფასობს. მე ეს ნაყროვნობით არ მიქნია. ამისთჳს ვქენ, თეთრმა ჩემს ჴელში ბევრი ხანი არ დაჰყოს. ვინც ძვირათ არას იყიდის, ამისთჳს არა იქს რომ სარგავიანი კაცი დაუძახონ. თეთრის შენახვა უნდათ.—

სამ ფლურად კაკაბს სყიდულობს, სმრახევდენ აგ მუცელია,
ჩემთჳს ისრეა ვით შენდა, ის ოთხი ფული ძნელია,
არავიქ მაგად ამად ვიქ, არ დაჴყოს ჩემთან წელია,
არსარგაგად იქს ვინცა იქს, ოეთრის შენახვის მცდელია,
რა კაცსა გამოუვიდა, მამონაობის ქარები,
ოქრო და მიწა სწორია, მასთან გასახარები,
არუნდა ქონა დახარჯავს, არად აქჳს შესაზარები,
და სოფლის მოუჳარე უზრახავს, ჴსჩანს დიდად გასამწარები.

ერთმა ვინმე ჰკითხა, როდის გამეზდება შვილი სასწავლოში მრავლის ცემითა. მიუგო: ქჳჵბიც უოველგან დიდროვანნი ჰყრიან, მაგრამ შენთჳს და სხჳსათათჳს სწორეა.—

საცემრად მოგცეთ ჰკილევდენ, როს გაგვეზდება შვილია,
ქჳაც ბევრი ჰყრია მიუგო, კელისაყრელად წბილია.
იმას უფრო ბევრი აქჳს, ვისაც ჰსწავლისათჳს ყური მოუგრავს. ამისათჳს უოველს საქმეს უფრო მსწრაფლ იქმს.—

უფრო ბევრი აქჳს ვის ჭკსწავლა, გულშია დაუთესია, ამად ყოვლს საქმეს მალე იქს, რაცარტმე უკეთესია.

ჰკითხეს ჭკჳიანსა და უჭკჳოს, რა განყოფილება აქჳს. მიუგო: ორივ გაშიშვლებულნი განუტევენ და მაშინ ჰკს-ცნობ რომელიც სიშიშვლეში უფრო დიდხანს გაათე-ვს.—

ხელს ჭკჳიანზე რა მეტი აქჳს, ამას ჰკითხავთ საამ-ბოსა,
გააშიშვლე ამათა ჰკსცნობ, მალ რომელი შეიმოსა.

ამას დასძრახეს, სამართალში სტრაფჲნი იქირავე. მიუგო: რომელსაც ლხინი მომანდება მზარეულსაც ვიქირავებ.—

უმრახევდენ სამართლისთჳს, სტრაფჲს ქირაობ იმას არებ,
მან მიუგო ლხინისათჳს, მზარეულსაც მოვიკმარებ.

პოლემ ბრძენი, არისტოტელის სახლში შევიდა. ნახა ქა-ლი დიდად მორთული და სუფრა მდიდრად დაგებული: არისტოტელს უმრახა, დიად კელ გაშლით ცხოვრებს და ეს ფილოსოფოსთ წესი არ არის. არისტოტე დაიდუმა მცი-რე ხანს და კმა არ გასცა, ვითამც არარა სმენია. ამისა შემდგომად უთხრა, დღეს აქავ ჩემი წვეულივე იყავ. პო-

ლენ სული დაიდო და უარი არღარა უთხრა: არისტოფ უთხრა მაშ რად ამაგე ჩემი ცხოვრება. ვეჭობ ჩემი მდიდარი სუფრა არ გწყენია, მაგრამ თეთრი რომ დამიხარჯავს ეს გიმძიმს. შენ ფარისეველს გავხარ. ჩემს სახლს ამაგებ და აქედამ გასვლაკი არ გინდა —

ზოლენ გონია მგონია, არისტო-ტელთან მსვლენია,
შევიდა ნახა ქალები, მოკაზმის დაუკლენია,
სუფრა ავსილი ყოვლითა, რაც კაცთა მოსავლენია,
ფილასოფურად არ ცხოვრებს, უთხრა ვინც იქა მხლენია,
ჯერ კმა არ გასცა არისტოფ, ვითამცა უსულენია,
ხანს უკან უთხრა მეწვიე, ჰქენრამე დასალენია,
ზოლენ ეწვია მისამის, სიჭკუით[illegible] დამამძლენია,
არისტოფ უთხრა რად სმაგე, ჩემი [illegible] ცოცხლე მძლენია,
ესარ გეწყინა [illegible] სუფრ[illegible] არ სამხლენია,
თეთრის დახარ[illegible] გეწყინა, არის[illegible]მ დასახლენია,
ფარისეველი ყოფ[illegible]ხარ, მეწ[illegible]სახლენია,
და სუფრას მიგინებ ეს [illegible], აქ იყო მოსახლენია,
კაცს ეწყობი სახლში შეხვალ, მისას ნახავ რასაც რასა,
დაუწუნებ ყველაკასა, შიგ ნადებსა გარე სრასა,
ესკი გინდა კარგა დაგხვდე, შეყრასა და გამოყრასა,
და არვინა იქს გონიერი, ამ საქმეზე ენის მჭრასა.—

## ქართული ლექსთ-თხზულება.

1. ლოცვა ტრფიალისა. (
2. ალერსი. ( თა. დავით ბარძიმის ძეს
3. უმანკოება. ( მაჩაბლისა.

ზარე დ̃ა უანიმათ. (
ბოემა. ( თა. გ. ერი.

—

## პროზა.

მღვიმე სასაფლაოს იქით. რუსულით თარგმნილი. თა. გიორგი ბარათოვისა.

## სწავლა დ̃ა ხელოვნება.

მოკლედ სიტყვის გება სოკრატი. თარგმნილი რუსულიდგან ქართულად ქრისტე თურქისტანის შვილისაგან დ̃ა ლექსად ნათქმული მეფის ვახტანგისაგან.—